განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ენტონი დინი, პროფესორი, ვინჩესტერის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი წევრები:
ნინო ჩიქოვანი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ნანა მჟავანაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო (სტუდენტი ექსპერტი)
დოქ. ირინე დარჩია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
დავით საყვარელიძე, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გენერალური დირექტორი, საქართველო (დამსაქმებელი ექსპერტი)
ზაზა სხირტლაძე, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2018

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ავტონომიური უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციაა, რომლის წინამორბედი (სასცენო ხელოვნების ინსტიტუტი) დაარსდა 1923 წელს. თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი მას 1992 წელს დაერქვა, ხოლო უნივერსიტეტად 2002 წელს გადაკეთდა. 2005 წელს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს შეუერთდა თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი დიდ როლს ასრულებს დრამისა და კინოს, მუსიკალური თეატრის, მარიონეტებისა და პანტომიმის მსახიობთა, დრამის, კინოს, ტელევიზიის რეჟისორთა, ოპერატორთა, თეატრმცოდნეთა, კინომცოდნეთა, ხელოვნებათმცოდნეთა, ტელე-მედიის, ქორეოგრაფიის, მენეჯერების, ტურიზმისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დარგის სპეციალისტების მომზადებაში.

უნივერსიტეტის მისიაა - ხელოვნების დარგების განვითარება და კვლევა, ხელოვნების დარგების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და პროფესიონალების აღზრდა. უნივერსიტეტში არის დრამის, კინო-ტელე და სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტები, სადაც სტუდენტები იღებენ ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის ხარისხს.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

თვითშეფასების ანგარიში, უნივერსიტეტის სხვა დოკუმენტებთან ერთად ჯგუფის წევრებს 2018 წლის 8 მაისს გაეგზავნა. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ინდივიდუალურად შეისწავლეს თვითშეფასების ანგარიში (და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია) და მოამზადეს კომენტარები და კითხვები. ჯგუფი 2018 წლის 21 მაისს შეიკრიბა და ჩაატარა ბრიფინგი შეფასების მეთოდოლოგიაზე. შემდეგ მათ შეადარეს შენიშვნები და შეთანხმდნენ ადგილზე ვიზიტისას შესასწავლ მიმართულებებზე.

ადგილზე ვიზიტის პროგრამა შეთანხმებულ იქნა 2018 წლის 26 აპრილი-14 მაისის პერიოდში. შეთანხმებული პროგრამა შეიძლება იხილოთ დანართი ა-ში. ადგილზე ვიზიტი ჩატარდა 2018 წლის 22-24 მაისს. უნივერსიტეტის მხრიდან ხელმისაწვდომი იყო ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია. უნივერსიტეტმა უზრუნველყო შეხვედრები შესაბამის პერსონალთან და სხვა პირებთან. ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, რაც მათთვის მიწოდებულ იქნა. ადგილზე ვიზიტის დასასრულს ჩატარდა ზეპირი საინფორმაციო შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორსა და ხელმძღვანელ პერსონალთან. შემდეგ ჩატარდა ღია საინფორმაციო შეხვედრა უნივერსიტეტის პერსონალთან.

ადგილზე ვიზიტის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა მოამზადა ანგარიში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

სტანდარტი	
1. მისია და სტრატეგიული განვითარება	
1.1	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	
2.1	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3. საგანმანათლებლო პროგრამები	
3.1	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.2	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3.3	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4. უსდ-ის პერსონალი	
4.1	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები	
5.1	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
6. კვლევა**,** განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	
6.1	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
6.2	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
6.3	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
7. მატერიალური**,** საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	
7.1	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
7.2	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
7.3	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
7.4	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

- ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ უნივერსიტეტმა თავისი სტრატეგიული მიზნების მიღწევაში პროგრესის მონიტორინგის სიზუსტისათვის, მნიშვნელოვნად უნდა გააძლიეროს ფორმალური მონიტორინგის პროცესები მისი თითოეული ძირითადი საქმიანობის (და სხვა ძირითადი სტრატეგიული პოლიტიკის) ხელახლა გამოხატვის მეშვეობით, რათა მოიცვას უფრო გამჭვირვალე კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, გონივრული და დროში გაწერილი (სხვა სიტყვებით SMART) სამიზნეების ერთიანობა, ასოცირებულ წლიური შესრულების ძირითად მაჩვენებლებთან (KPI) ერთად.

- ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ მისიისა და ხედვის შესასრულებლად უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს თავისი კვლევისა და საგამომცემლო საქმიანობის ხარისხი, რათა უზრუნველყოს სრული შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

- ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ყველა მის პროგრამაში (საჭიროების შემთხვევაში) ფორმალური კომპონენტის არსებობა, რომელიც სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას მათი პროგრამის გარკვეულ ეტაპზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციფიკური საკითხების თაობაზე, ასევე, აწვდის ინფორმაციას უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკას შესახებ მათი პროგრამების პრაქტიკული კომპონენტების ფარგლებში და (საჭიროების შემთხვევაში) პროფესიული დასაქმების არჩეული სფეროების გათვალისწინებით.

- ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ უნივერსიტეტი შეეცადოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის კამპუსის ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებას; იმის უზრუნველყოფას, რომ ყველა ადგილი, სადაც სტუდენტებს ესაჭიროებათ მისვლა, სათანადოდ იყოს მოდიფიცირებული. ჯგუფს მიაჩნია, რომ ეს

საკითხები უნდა მოგვარდეს რაც შეიძლება სწრაფად, თუმცა აქვე აღიარებს შეზღუდულობას რესურსებში, რომლის ფარგლებშიც უწევს უნივერსიტეტს ოპერირება.

- ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ უნივერსიტეტმა თავისი ვებგვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში მნიშვნელოვნად მეტი შინაარსი ჩადოს, კერძოდ, უნ ი ვ ე რს ი ტე ტი ს აკადემიურ შეთავაზებების კუთხით, რათა უნივერსიტეტმა უკეთ შეძლოს საერთაშორისო სტუდენტთა მოზიდვა.

რჩევები

- ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს უნივერსიტეტს, რომ საკუთარი მიზნის (2018-2024 წლებში განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული) - "ხარისხის კულტურის" მისაღწევად უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა თანამშრომელი ნათლად აცნობიერებდეს და აფასებდეს ინდივიდუალურ როლსა და პასუხისმგებლობას ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებში.

- ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს, რომ როგორც უნივერსიტეტის სტუდენტთათვის, ისე პერსონალისათვის იქნება სასარგებლო თუ კვლევითი აქტივობის ეთიკური ასპექტების განსაზღვრის პროცესი გახდება ფორმალიზებური წერილობითი ჩანაწერის მეშვეობით, რომელიც წინასწარვე შეგნებულად შეაფასებს კვლევითი აქტივობის ეთიკურ შედეგებს და ხელმოწერილი იქნება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მიერ კვლევითი პროცესის დაწყებამდე. ეს საშუალებას მისცემს ინსტიტუციას უფრო ადვილად შეინარჩუნოს კოდექსის ფუნქცია.

- ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს, რომ უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ასპექტებს, რომლებიც ეხება პერსონალის განვითარებას და კარიერული წინსვლის აქტივობებს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს უფრო მკაფიოდ იყოს დიფერენცირებული, ხოლო ასოცირებული მახასიათებლების კრიტერიუმები - ნათლად ჩამოყალიბებული, იმგვარად, რომ გაზომვადი, ადვილად შესაფასებელი და გასაგები იყოს პერსონალისათვის.

- ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს, რომ უნივერსიტეტმა განიხილოს მკაფიო და მეგობრულისაკითხავი სახელმძღვანელოს შემუშავების საკითხი, რომელიც სტუდენტებს გააცნობდა მათ უფლებებს და გაუწევდა დეტალურ მეგზურობას ფორმალურ პროცედურებში, თუ მათ ექნებოდათ სურვილი ოფიციალური საჩივრით მიემართათ ინსტიტუციისათვის. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტებმა ნათლად იცოდნენ თუ რა ფორმალური პროცესების გავლა დასჭირდებათ იმ შემთხვევაში, თუკი დადგებიან პრობლემის წინაშე, რომელიც ფორმალური საჩივრის საფუძველს იძლევა.

- ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს უნივერსიტეტს განიხილოს ინტეგრირებული კარიერული რჩევის სისტემის შექმნა, რომელიც თავს მოუყრიდა ყველა არსებულ განაწილებულ რესურსს ერთი ელექტრონული ფორმატით, რომელიც შესაძლოა გამხდარიყო iLearning სისტემის ნაწილი, ამ უკანასკნელს ინსტიტუცია ახლა ქმნის.

- ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს საფინანსო სამსახურს, რომ შეიმუშაოს ანგარიშის ალტერნატიული შემაჯამებელი ფორმატი წარმომადგენლობითი საბჭოსთვის საბიუჯეტო ინფორმაციის წარსადენად, რაც უფრო მეტად "გასაგებს" გახდის მას არასპეციალისტი მკითხველებისათვის.

საუკეთესო პრაქტიკები

- ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება ინსტიტუტის აშკარა ვალდებულებას, რომ შეიტანოს დინამიური წვლილი შესაბამისი დარგის შემოქმედებითი პრაქტიკის განვითარებაში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

- ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის განვითარების გეგმის სიცხადეს, ფარგლებსა და მისწრაფებებს, რომლებიც სრულად აყალიბებენ დაწესებულების მისიას და პოზიტიურად პასუხობენ დღევანდელ ეროვნულ პრიორიტეტებს.

- ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოდგენილს მიღებული ზომებით, რათა შეექმნა, დაემტკიცებინა და დაენერგა დებულებები, რეგულაციები, პროცესები და სისტემები ამჟამად არსებული სახით, რომლებიც განსაზღვრულია ჯგუფის მიერ ნანახ დოკუმენტაციაში. ამ მიღწევის შედეგად, ჩვენ ვაღიარებთ ინსტიტუციური ხელმძღვანელობის ხარისხს, რომელიც აუცილებელია პროცესის წარმატებით დასასრულებლად.

- ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მონდომებას, რომ მოახდინოს კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია და სტუდენტთა სასწავლო გამოცდილებისადმი - ვალდებულება, რომელსაც ძალიან დადებითად აფასებენ დაინტერესებული მხარეები, რომელთაც შეხვდა ჯგუფი.

- ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მზადყოფნას სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების ხარისხისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტთა რაოდენობის რეგულირების საკითხის ფაკულტეტებისათვის გადაცემის თაობაზე.

- ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ "სწავლისადმი მოქნილი მიდგომას", რომელიც კონსტრუქციულად ეხმაურება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და გარე დაინტერესებულ პირთა მოსაზრებებს.

- ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური პერსონალის არსებული პროფილის შენარჩუნებას, რათა ხელი შეეწყოს მის დარგებში ტრადიციული და თანამედროვე მიდგომებისა და სასწავლო საგნების წარმატებულ ინტეგრაციას.

- ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მიდგომას პერსონალის მუშაობასადმი "სწავლაში დახმარების" და "პრაქტიკული სასწავლო საშუალებების" კუთხით, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ შეძლონ სრული წვლილის შეტანა სტუდენტების სასწავლო გამოცდილების მხარდაჭერასა და გაუმჯობესებაში.

- ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება ინსტიტუტის აკადემიური პერსონალის კვლევისა და შემოქმედებითი პრაქტიკის დარგების დაახლოებას, რასაც იგი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კურიკულუმის სპეციფიკით.

- ექსპერტთა ჯგუფი აქებს ინსტიტუციას იმ ფიზიკური რესურსების მაღალი ხარისხისა და პრაქტიკულობისათვის, რომლითაც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებს და რომელიც განიხილება წამყვანი ევროპული უნივერსიტეტების სადარად.

- ექსპერტთა ჯგუფი აქებს ინსტიტუციას სტუდენტთა სწავლისათვის vკურიკულუმის აქტივობაში სპეციალისტთა სასწავლო რესურსების (როგორიცაა სასწავლო სტუდია) აქტიურად ინტეგრირებისათვის.

შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ს მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების დიზაინი და შემუშავება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4	უსდ-ის პერსონალი	☒	☐	☐	☐
4.1.	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2.	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐

5.1.	სტუდენტის სტატუსის მოპოვების და შეცვლის, განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.1.	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2.	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3.	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2.	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ენტონი დინი (თავმჯდომარე)

ზაზა სხირტლაძე (ექსპერტი)

ნინო ჩიქოვანი (ექსპერტი)

ნანა მჟავანაძე (ექსპერტი სტუდენტის კვოტით)

დავით საყვარელიძე (ექსპერტი დამსაქმებლის კვოტით)

ირინა დარჩია (ექსპერტი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ს მისიის შესახებ განაცხადი განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სფეროში და ფართო საზოგადოებრივ კონტექსტში. უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება დაწესებულების მიზნებს და აღწერს ამ მიზნების მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
▯ უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტს ჩამოაყალიბებული აქვს მისია და ხედვის განაცხადები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს მის როლს, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, ასევე მის სპეციფიკურ მახასიათებლებსა და მიმართულებებს. მისია ასახავს პროფესიული პრაქტიკის შესაბამის დარგებში სტუდენტების საზოგადოების აქტიურ წევრებად აღზრდისადმი უნივერსიტეტის მიდგომის მოკლე შეჯამებას და განსაზღვრავს მათ ფართო პასუხისმგებლობას ხელოვნების დარგის შემოქმედებითი განვითარებისა და სამეცნიერო კვლევების თვალსაზრისით. მისიის განაცხადი გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (მათ შორის ინგლისურენოვანი თარგმანი) და ა ს ე ვ ე , განვითარების სტრატეგიულ გეგმაში (სტრატეგიული გეგმა). ვიზიტის დროს ჩატარებული შეხვედრების დროს უნივერსიტეტის თანამშრომლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჯგუფს შეექმნა აშკარა შთაბეჭდილება, რომ მისიისა და ხედვის განაცხადების ძირითადი ელემენტები საყოველთაოდაა გაგებული და გაზიარებული ინსტიტუციაში. უნივერსიტეტის მისიის განაცხადში გამოხატული მტკიცე ვალდებულება, რომ "უზრუნველყოს ხელოვნების დარგების (თეატრის, აუდიოვიზუალური, ქორეოგრაფიული და მუსიკის) განვითარების მყარი საფუძველი ქვეყნის საზღვრებში და მის ფარგლებს გარეთ", მოწონებული იყო დამსაქმებელთა ჯგუფისა და სხვა გარე დაინტერესებული მხარეების მიერ, რომელთაც ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა. ჯგუფის თვალსაზრისით, ეს ასპექტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▯ თვითშეფასების ანგარიში

▯ შეხვედრა რექტორთან ▯ უნივერსიტეტის ვებგვერდი ▯ განვითარების სტრატეგია ▯ შეხვედრა დამსაქმებლებთან და სხვა მონაწილე მხარეებთან ▯ შეხვედრები (მრავალმხრივი) უნივერსიტეტის პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები: რეკომენდაციები არ არის
რჩევები: შემდგომი განვითარებისათის რჩევები არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
• უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). • უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. • უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტმა ახლახან მიიღო ახალი განვითარების სტრატეგია (გზა ხელოვნებისადმი 2018-2024), რომელიც წარმოადგენს მის ოფიციალურ სტრატეგიულ გეგმას. ეს სტრატეგია ყოვლისმომცველია, ფარავს უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიდგომას მისი ოპერირების ყველა ძირითადი ასპექტის მიმართ, მათ შორის ინსტიტუციურ განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას, სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვას, კვლევებსა და სხვა შემოქმედებით აქტივობებს, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, სტუდენტთა მომსახურებებს და ინსტიტუციურ ინფრასტრუქტურას. სტრატეგია მოიცავს უნივერსიტეტის მისიასა და ხედვას და ინსტიტუციური პრიორიტეტების ნუსხას, რომელთა მიღწევაც სურს დაწესებულებას დაგეგმილ პერიოდში. ამ პრიორიტეტების ფარგლები სტრატეგია მოიცავს სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და პედაგოგიურ განვითარებას, რაც სრულად შეესატყვისება უნივერსიტეტის მისიას და შეიმუშავებს გზებს, რომლებითაც უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს დაწესებულების შიგნით სოციალურ განვითარებას, გაუზიარებს ცოდნას საზოგადოებას და ხელს შეუწყობს უწყვეტ განათლებას. ჯგუფი მიესალმება ინსტიტუტის აშკარა ვალდებულებას, რომ შეიტანოს დინამიური წვლილი შესაბამისი დარგის შემოქმედებითი პრაქტიკის განვითარებაში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. 7 წლიანი განვითარების სტრატეგია მოიცავს 3 წლიან სამოქმედო გეგმას, რომელიც გულისხმობს რეალისტურ და მიღწევად მიზნებს, და ეხება აქტივობების ყველა ასპექტს, ჩამოთვლილს

ინსტიტუციურ პრიორიტეტებში. პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან შეხვედრების შედეგად ჯგუფი დარწმუნდა, რომ დაგეგმვის პროცესი უნივერსიტეტში ძალიან ინკლუზიურია და სტრატეგიულ დაგეგმვაში წვლილის შესატანად შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებისათვის ფორმალური და არაფორმალური შესაძლებლობები სრულად არის გათვალისწინებული და უზრუნველყოფილი.

განვითარების სტრატეგიასა და ასოცირებულ სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებულ პრიორიტეტებისადმი მიღწეულ პროგრესს უნივერსიტეტი აფასებს რეგულარული მონიტორინგის მეშვეობით, რომელსაც ოფიციალური საკომიტეტო სტრუქტურა ატარებს. ფაკულტეტების (ფაკულტეტის საბჭოების მეშვეობით), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და არა-აკადემიური სამსახურების (წარმომადგენლობითი საბჭოს დაქვემდებარებული) რეგულარული ანგარიშები მიიღება და განიხილება აკადემიური საბჭოს მიერ. ამ პროგრესის შესახებ ნებისმიერი შენიშვნა, ან შემდგომში იდენტიფიცირებული და შეთანხმებული ქმედებები, მოგვიანებით ეგზავნება უკან შესაბამის ორგანოს. ამდენად, ჯგუფს შეეძლო იმაში დარწმუნება, რომ უნივერსიტეტი რეგულარულად აფასებს მისი სტრატეგიული მიზნებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელებას და სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. ჯგუფის შეხედულებით, უნივერსიტეტის არსებული განვითარების გეგმა წარმოადგენს სიცხადის მოდელს და მისი პრიორიტეტებისა და მისწრაფებების მასშტაბი სრულად ასახავს ინსტიტუციური მისიისა და ხედვის განაცხადებს და ამავდროულად პასუხობს არსებულ ეროვნულ პრიორიტეტებს. ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის განვითარების გეგმის სიცხადეს, ფარგლებსა და მისწრაფებებს, რომლებიც სრულად აყალიბებენ ინსტიტუციურ მისიას და პოზიტიურად პასუხობენ დღევანდელ ეროვნულ პრიორიტეტებს.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია (სტრატეგიული გეგმა) სავარაუდოდ უზრუნველყოფს მისი სტრატეგიული მიზნების საერთო მიღწევას, სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის მ ი ღწ ე ვ ა ს დროში გაწერილი და მიღწევადი მიზნების თანმიმდევრულ ერთიანობას, ჯგუფი აღნიშნავს, რომ თითოეული ინდივიდუალური მიზნის შემთხვევაში შეიმჩნევა გრანულირებული შესრულების კრიტერიუმების ("საკონტროლო" ანუ ძირითადი მაჩვენებლების) ნაკლებობა, რაც შესაძლებლობას მისცემდა უნივერსიტეტს ზუსტად გაეზომა პროგრესი, ყოველწლიურად სტრატეგიული მიზნების მიღწევამდე. ჯგუფი აღნიშნავს, რომ სხვა ინსტიტუციურ სტრატეგიულ დოკუმენტებში (მაგ. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკა) გამოვლენილ იქნა წინასწარ განსაზღვრული პროგრესის ინდიკატორების მსგავსი უკმარისობა. ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ უნივერსიტეტმა თავისი სტრატეგიული მიზნების მიღწევაში პროგრესის მონიტორინგის სიზუსტისათვის, მნიშვნელოვნად გააძლიეროს ფორმალური მონიტორინგის პროცესები მისი თითოეული ძირითადი საქმიანობის (და სხვა ძირითადი სტრატეგიული პოლიტიკის) ხელახლა გამოხატვის მეშვეობით, რათა მოიცვას უფრო გამჭვირვალე კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, გონივრული და დროში გაწერილი (სხვა სიტყვებით SMART) სამიზნეების ერთიანობა, რომელიც ასოცირებული იქნება წლიური შესრულების ძირითად მაჩვენებლებთან (KPI) ერთად.

ჯგუფის თვალსაზრისით, ეს ასპექტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- შეხვედრა რექტორთან
- განვითარების სტრატეგია
- შეხვედრა დამსაქმებლებთან და სხვა მონაწილე მხარეებთან
- შეხვედრები (მრავალმხრივი) უნივერსიტეტის პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები: ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ უნივერსიტეტმა თავისი სტრატეგიული მიზნების მიღწევაში პროგრესის მონიტორინგის სიზუსტისათვის, მნიშვნელოვნად გააძლიეროს ფორმალური მონიტორინგის პროცესები მისი თითოეული ძირითადი საქმიანობის (და სხვა ძირითადი სტრატეგიული პოლიტიკის) ხელახლა გამოხატვის მეშვეობით, რათა მოიცვას უფრო გამჭვირვალე კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, გონივრული და დროში გაწერილი (სხვა სიტყვებით SMART)
სამიზნეების კომპლექტი, დაკავშირებული წლიური შესრულების ძირითად მაჩვენებლებთან (KPI) ერთად.
რჩევები: შემდგომი განვითარებისათის რჩევები არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ჯგუფი მიესალმება ინსტიტუტის აშკარა პ ა ს უხ ი ს მ გ ე ბ ლობ ა ს , რომ შეიტანოს დინამიური წვლილი შემოქმედებითი პრაქტიკის შესაბამისი დარგის განვითარებაში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის განვითარების გეგმის სიცხადეს, ფარგლებსა და მისწრაფებებს, რომლებიც სრულად აყალიბებენ ინსტიტუციონალურ მისიას და პოზიტიურად პასუხობენ დღევანდელ ეროვნულ პრიორიტეტებს.
შეფასება ☐ შ ესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ▯ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს ორგანიზებული აქვს თავისი მენეჯმენტის სისტემა და სტრუქტურული ერთეულები ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. სამი ფაკულტეტიდან თითოეულს აქვს ფაკულტეტის საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია უშუალოდ აკადემიური საბჭოს წინაშე, (საქმიანობის გარკვეულ სფეროებში) ხარისხის უზღუნველყოფის სამსახურის, სადისერტაციო საბჭოს და სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტის (თუ ასეთი არსებობს) გავლით. ადმინისტრაციული სამსახურები (როგორებიცაა, საფინანსო-ეკონომიკური სამსახური, კანცელარია და ადამიანური რესურსების სამსახური, შესყიდვების სამსახური და სხვ.) ანგარიშვალდებულნი არიან უშუალოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მეშვეობით. ადგილზე ვიზიტისას პერსონალის გარკვეულ ჯგუფებთან დისკუსიის შედეგად ექსპერტებს ჩამოუყალიბდა

მოსაზრება, რომ აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საკითხებზე მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებები მიიღება ეფექტურად და დროულად.

უნივერსიტეტის თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და მოვალეობები მკაფიოდაა განსაზღვრული და აღწერილი წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებებით. დებულებები დეტალურად აღწერს თითოეული ერთეულის აქტივობის ფარგლებს, მიზანსა და შიდა სტრუქტურას. ჯგუფმა გადახედა ამ დებულებების გარკვეულ რაოდენობას (რადგან ეხებოდა განსხვავებულ სტრუქტურულ ერთეულებს) და დარწმუნდა, რომ ისინი იძლევიან მკაფიო, მოკლე და ყოვლისმომცველ ინფორმაციას მათი როლის, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ მთლიანი მენეჯმენტისა და კომიტეტის სტრუქტურის ფარგლებში. ამ დებულებების უდიდესი ნაწილი განახლებულია ბოლო პერიოდში (2017) და შემდეგ დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. ჯგუფზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უნივერსიტეტის პასუხისმგებლიანმა დამოკიდებულებამ და ჩადებულმა შრომისმოყვარეობამ ამ მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებაში. ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოდგენილს გატარებული ზომებით, რათა შეექმნა, დაემტკიცებია და დაენერგა დებულებები, რეგულაციები, პროცესები და სისტემები ამჟამინდელი სახით, რომლებიც განსაზღვრულია ჯგუფის მიერ ნანახ დოკუმენტაციაში. ამ მიღწევის აღიარებით, ჩვენ, ასევე, ვაღიარებთ ინსტიტუციური ხელმძღვანელობის მუშაობის ხარისხს, რომელიც აუცილებელია ამ პროცესის წარმატებით დასასრულებლად.

ადგილზე ვიზიტისას პერსონალთან და სტუდენტებთან შეხვედრებზე და უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტების გაცნობის შედეგად, ჯგუფს ჩამოუყალიბდა შეხედულება, რომ ინსტიტუციის არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს განვითარების სტრატეგიისა და ასოცირებული სტრატეგიული გეგმების ეფექტურ განხორციელებას. ჯგუფმა, ასევე, შენიშნა უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული დოკუმენტაციის (რომელიც შექმნილია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინსტიტუციის თითოეულმა სტრუქტურულმა ერთეულმა შეასრულოს თავისი ფუნქციები ეფექტურად და კოორდინირებულად) სიცხადე და სრულყოფილება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მიღწევას, რომელიც ხელს შეუწყობს და განამტკიცებს მომავალ განვითარებას.

უნივერსიტეტის რექტორის, პროპექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ფაკულტეტების დეკანის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსების არჩევა წარმოებს უნივერსიტეტის წესდების მიხედვით და განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად. აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არჩევა წარმოებს ღია და გამჭვირვალე არჩევის წესით. ღია, გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფა აღნიშნულია თვითშფასების ანგარიშში, როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ფუნდამენტური პრინციპი.

უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია (სტრატეგიული გეგმა) მოიცავს "საქმის წარმოებისა და დოკუმენტაციისათვის ერთიანი ცენტრალიზებული ელექტრონული სისტემის" დანერგვასა და განვითარებას, როგორც აქტივობას განსაზღვრულს მიმდინარე სამოქმედო გეგმაში. ეს კი ახდენს ფართო IT სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილის ფორმირებას და დაგეგმილია დასრულდეს ეტაპობრივად მოცემულ საანგარიშო პერიოდში. ამჟამად უნივერსიტეტს აქვს მუშა ფაილების შენახვისა და ძიების საერთო სიმძლავრე და იყენებს ORIS საბუღალტრო სისტემას ფინანსურ მენეჯმენტსა და ანგარიშგებაში. ჯგუფი აფასებს, რომ ფინანსური რესურსების არსებული შეზღუდვების პირობებში უნივერსიტეტი მუშაობდა გულმოდგინედ თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძენად, რათა გაეუმჯობესებინა და გაეფართოვებინა საკუთარი მმართველობითი შესაძლებლობები, და შთაბეჭდილების ქვეშაა ამასთან დაკავშირებული IT სტრატეგიის გეგმის გამო.

მისიაში განაცხადის შესაბამისად, რომელიც უნივერსიტეტს აწესებს "გამოცდილების გაზიარების, შემოქმედებითი ურთიერთობებისა და კულტურათა დიალოგის საერთაშორისო ცენტრად", შემუშავებული და დანერგილია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა. ეს პოლიტიკა მოხაზავს გზებს, რომლითაც უნივერსიტეტი გეგმავს საერთაშორისო ინსტიტუციებთან და ორგანიზაციებთან მისი სტრატეგიული პარტნიორობების გაუმჯობესებასა და გაფართოვებას, საერთაშორისო პროგრამების შემუშავებას (ინგლისურ ენაზე), სტუდენტთა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას (ბოლონიის პროცესის შესაბამისად) და საერთაშორისო ფესტივალებში და კვლევით კონფერენციებში სტუდენტთა და პერსონალის აქტიური მონაწილეობის გაზრდას. პოლიტიკა

გვაწვდის მიზნების მკაფიო კომპლექტს აქტივობის თითოეულ სფეროში, რაც სრულად ასახევს უნივერსიტეტის მისიასა და ხედვას და ასოცირებულ სამოქმედო გეგმას. ინსტიტუცია ამჟამად ჩართულია ზემოჩამოთვლილი საერთაშორისო აქტივობების ყველა სფეროში (გარდა ამჟამად შემოთავაზებული საერთაშორისო პროგრამებისა) და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მიზნად ისახავს ამ გამოცდილებას აქტიურად გამოყენებას. ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მტკიცე ვალდებულებას, რომ მოხდეს კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია, რომელსაც ძალიან დადებითად აფასებენ დაინტერესებული მხარეები, რომელთაც შეხვდა ჯგუფი. ჯგუფის თვალსაზრისით, ეს ასპექტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში - განვითარების სტრატეგია - შეხვედრა (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის) სტუდენტებთან - შეხვედრა დოქტორანტურის სტუდენტებთან - შეხვედრა რექტორთან - შეხვედრა ფაკულტეტების დეკანებთან, დეპარტამენტების და პროგრამების ხელმძღვანელებთან - ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა - შეხვედრა დამსაქმებლებთან და სხვა მონაწილე მხარეებთან
რეკომენდაციები**:** რეკომენდაციები არ არის
რჩევები**:** შემდგომი განვითარებისათის რჩევები არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოდგენილს მიღებული ზომებით რათა შეექმნა, დაემტკიცებია და დაენერგა დებულებები, რეგულაციები, პროცესები და სისტემები ამჟამინდელი სახით, რომლებიც განსაზღვრულია მკაფიოდ ჯგუფის მიერ ნანახ დოკუმენტაციაში. ამ მიღწევის აღიარებით, ჩვენ ასევე ვაღიარებთ ინსტიტუციური ხელმძღვანელობის ხარისხს, რომელიც აუცილებელია პროცესის წარმატებით დასასრულებლად. ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მტკიცე ვალდებულებას კურიკულუმის და სტუდენტების სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაციის, რომელსაც ძალიან დადებითად აფასებენ დაინტერესებული მხარეები, რომელთაც შეხვდა ჯგუფი.

შეფასება**:** ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
• უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. • უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინსტიტუციის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ორგანიზებულია და მონიტორინგი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ამ პასუხისმგებლობასთან დამატებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ასევე, აფასებს და აქვს მიზანი, რომ გაუმჯობესოს, ინსტიტუციის სწავლება და სწავლა, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი და საერთაშორისო თანამშრომლობა. მისი ხარისხის უზრუნველყოფის როლის ორი გადამწყვეტი ასპექტი არის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება უნივერსიტეტის ავტორიზაციისათვის და პროგრამების აკრედიტაციისათვის, და უნივერსიტეტის სწავლების, შემოქმედებითი და კვლევითი აქტივობების ხარისხის შეფასება. ამ ასპექტებზე გამოხმაურებების შეგროვების ძირითადი საშუალებაა სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი, და სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ შევსებულ კითხვარებზე გამოხმაურებების ანალიზი და თითოეული ფაკულტეტისა და ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და მონაცემები. ხარისხის უძრუნველყოფის შიდა მექანიზმების განხორციელებაში დაწესებულების თითოეული ერთეული ეფექტურად არის ჩართული. მართალია ამ მეთოდოლოგიის შეკრებილი მონაცემები უმეტესწილად რაოდენობრივი ბუნებისაა, იგი საშუალებას აძლევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომ მოამზადოს სათანადო რეკომენდაციები ყველა საჭირო ქმედებისათის, რაც შესათანხმებელია აკადემიურ საბჭოსთან, ან თითოეული ფაკულტეტის საბჭოსთან, ან უნივერსიტეტის რომელიმე სხვა კომპეტენტურ ერთეულთან. ამ პროცესით ინსტიტუცია იღებს გადაწყვეტილებებს მისი ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების შედეგების საფუძველზე, მათ შორის სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა ადამიანური, ინფორმაციული და მატერიალური რესურსების განთავსებაზე.

სტუდენტებთან, პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების საფუძველზე, ჯგუფს შეექმნა შეხედულება, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ეფექტური მექანიზმები მისი პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის. ჯგუფმა მოისმინა რიგი მაგალითებისა, თითოეული ამ მხარისაგან, თუ როგორი რეაგირება მოახდინა ინსტიტუციამ, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ხასიათის გამოხმაურების პროცესებზე, რომლებმაც ეს საკითხები მიიყვანა შესაბამისი და დროული კონკრეტული გაუმჯობესების ზომების მიღებამდე. ჯგუფისათვის, თითოეულ ამ მხარეებთაგან შეხვედრის შემდეგ ნათელი გახდა, რომ უნივერსიტეტსა და მათ შორის არსებობდა აქტიური დიალოგი. ფაკულტეტის დეკანებთან, სამსახურების უფროსებთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან შეხვედრებზე ჯგუფმა მოისმინა აბიტურიენტებს შორის უნივერსიტეტის პოპულარული პროგრამების მაგალითები, რომლებზეც შეგნებულად იქნა შემცირებული სტუდენტთა მიღება იმ მიზნით, რომ ჩარიცხული სტუდენტები უზრუნველყოფილიყვნენ ოპტიმალური სასწავლო გამოცდილებით, მათი რაოდენობიდან გამომდინარე, პედაგოგებისა და ფიზიკური რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მზადყოფნას, სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების ხარისხისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესებისა თვ ი ს , სტუდენტთა რაოდენობის რეგულირების საკითხის ფაკულტეტებისათვის გადაცემის თაობაზე.

კითხვარების მეშვეობით (ზემოთნახსენები) ყოველწლიურად შეკრებილ რაოდენობრივ გამოხმაურებაზე დამატებით, ხარისხობრივი გამოხმაურება რეგისტრირდება უნივერსიტეტის ფორმალური ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის მეშვეობით რიგი გზებით. სტუდენტები წარმოადგენენ გამოხმაურებას საკუთარი სწავლის გამოცდილებაზე ფაკულტეტის დონის სტუდენტთა თვითმმართველობისა მეშვეობით და სტუდენტთა ფაკულტეტის საბჭოს წევრობის მეშვეობით. ფაკულტეტის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ნებისმიერი საკითხი, რომელიც ვერ გვარდება ფაკულტეტზე გადადის რეაგირებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და/ან აკადემიურ საბჭოზე. გარე დაინტერესებული მხარეები, საჭიროებისამებრ, ჩართულნი არიან

სტუდენტთა სამუშაოს საბოლოო შეფასებაში ყოველი აკადემიური წლის ბოლოს. პროცესი მოიცავს პროგრამის მიწოდების მიმოხილვას და კურიკულუმის მიზანშეწონილობის ასახვის შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის თვალსაზრისით, უნივერსიტეტში ამჟამად მოქმედი ფორმალური შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები უზრუნველყოფენ მისი აქტივობებისა და რესურსების

შეფასებას და განვითარებას - ბევრი პროცესი ზედმეტად ცენტრალიზებულია. ჯგუფის თვალსაზრისით, ამ მიდგომის ზოგიერთი ასპექტი, თუმცა ეფექტური, გარკვეულწილად მონოლითური ხასიათისაა და ამიტომ, შეიძლება სარისკო იყოს მთელი პერსონალის ჩართვა მათი ინდივიდუალური წვლილის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. როდესაც ადგილზე ვიზიტისას ჯგუფი შეეკითხა პროგრამის ხარისხზე პასუხისმგებელ აკადემიური პერსონალის ჯგუფს, მათ ვერ შეძლეს ამ პროცესში თავიანთი ინდივიდუალური როლის იდენტიფიცირება. ჯგუფი ურჩევს, რომ საკუთარი მიზნის (20182024 წლებში განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული) - "ხარისხის კულტურის" მისაღწევად უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ ყველა თანამშრომელი ნათლად აცნობიერებდეს და აფასებდეს ინდივიდუალურ როლსა და პასუხისმგებლობას ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებში.

უნივერსიტეტს გააჩნია თავისი პერსონალის საქმიანობის შეფასების ფორმალური მექანიზმები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2019 წლის დეკემბერში). ეს პოლიტიკა, ასევე, მოიცავს პერსონალის დაკომპლექტებას და მიმდინარე პროფესიულ განვითარებასა და კარიერის მენეჯმენტს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ფორმალურ შეფასებას ადგილი აქვს ყოველწლიურად და მიჰყვება დადგენილ პროცედურებს. არსებობს დამატებითი ფორმალური პროცედურები, რომლებიც ეხება პერსონალის შემოქმედებითი და/ან სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შეფასებას (ჩამოყალიბებულია "სწავლების, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შეფასების წესში") ჯგუფის შეხვედრაზე აკადემიურ პერსონალთან (მათ შორის მოწვეულ პერსონალთან) და უფროს ადმინისტრაციულ მენეჯერებთან, მონაწილეთა მიერ დადასტურდა, რომ შეფასების სისტემა მუშაობს ეფექტურად და ორივე შემთხვევაში ჯგუფს წარედგინა პერსონალის განვითარების აქტივობების მაგალითები, რომლებიც იდენტიფიცირებული იქნა ამ პროცესის მეშვეობით.

უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვისა და რეგულირების ფორმალური ჩარჩო, რომლის მეთოდოლოგია მოყვანილია "სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესში" (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის დეკემბერში). ეს წესი დაკავშირებულია სტუდენტთა რაოდენობის რეგულირებასთან არსებული სასწავლო ობიექტების შესაძლებლობებისა და ტევადობის მიხედვით, და ასევე, ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის რაოდენობას, საინფორმაციო ტექნოლოგიების არსებობასა და ხელმისაწვდომობას, საბიბლიოთეკო რესურსებსა და გარე ვითარებას - როგორიცაა დასაქმების სფეროს მოთხოვნები და სხვ. ფაკულტეტების დეკანებთან, სამსახურების უფროსებთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე, ჯგუფს მიეცა მაგალითი იმისა, თუ სტუდენტთა რაოდენობის რეგულირება (ერთ კონკრეტული პროგრამაზე), როგორ იქნა გამოყენებული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების საშუალებად. ამ შემთხვევაში, სტუდენტთა არსებული ადგილების რაოდენობა შემცირდა იმგვარად, რომ განზრახ უზრუნველყოფილიყო ყველა სტუდენტისათვის ოპტიმალური სასწავლო გამოცდილება, არსებული რესურსების (ადამიანური და მატერიალური) შესაბამისობის უზრუნველყოფით სტუდენტთა კონტინგენტის სიდიდესა და მოთხოვნებთან.

ჯგუფის თვალსაზრისით, ეს ასპექტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში - განვითარების სტრატეგია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება - შეხვედრები აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენელთა საბჭოს წევრებთან - შეხვედრა ფაკულტეტების დეკანებთან, დეპარტამენტების და პროგრამების ხელმძღვანელებთან - შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან (მათ შორის მოწვეული პედაგოგებთან) - შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალთან - შეხვედრა უფროს მენეჯმენტთან (აკადემიური)

რეკომენდაციები**:** რეკომენდაციები არ არის
რჩევები**:** ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს, რომ საკუთარი მიზნის (2018-2024 წლებში განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული) - "ხარისხის კულტურის" მისაღწევად უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა თანამშრომელი ნათლად აცნობიერებდეს და აფასებდეს ინდივიდუალურ როლსა და პასუხისმგებლობას ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებში.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მზადყოფნას, სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების ხარისხისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტთა რაოდენობის რეგულირების საკითხის ფაკულტეტებისათვის გადაცემის თაობაზე.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
• უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. • უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. • უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ინსტიტუციას გააჩნია დამტკიცებული ეთიკის კოდექსი (წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული 2017 წლის დეკემბერში), რომელიც ადგენს რეგულაციებისა და პროცედურების ჩარჩოებს პერსონალისა და სტუდენტების მუშაობისა და ქცევის თაობაზე და განსაზღვრავს საპასუხო პროცედურებს ამ რეგულაციების დარღვევაზე. ეს რეგულაციები ეფუძნება შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობას და საჯაროდ ხელმისაწვდომია. მიუხედავად ამისა, ჯგუფმა დაადგინა (უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე), რომ ამჟამად სტუდენტებს არ მოეთხოვებათ მათი ინდივიდუალური დისერტაციის კვლევით პროცესთან დაკავშირებით ეთიკაზე განაცხადის შევსება და ხელმოწერა. ამჟამად ეს გვარდება დისკუსიის მეშვეობით მათ აკადემიურ ხელმძღვანელთან, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას იმის უზრუნველყოფაზე, რომ სტუდენტი მუშაობს ეთიკის კოდექსით დამტკიცებული ეთიკური სტანდარტებისა და პროცესების ფარგლებში. ჯგუფის რჩევაა, რომ როგორც უნივერსიტეტის სტუდენტთათვის, ისე პერსონალისათვის იქნება სასარგებლო თუ კვლევითი აქტივობის ეთიკური ასპექტების განსაზღვრის პროცესი გახდება ფორმალიზებური წერილობითი ჩანაწერის მეშვეობით, რომელიც წინასწარვე შეგნებულად შეაფასებს კვლევითი აქტივობის ეთიკურ შედეგებს და ხელმოწერილი იქნება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მიერ კვლევითი პროცესის დაწყებამდე. ეს საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს უფრო ადვილად ჩართოს კოდექსის განხილვა ოპერირებაში. უნივერსიტეტს, ასევე, შემუშავებული აქვს პლაგიარიზმისაგან დაცვისა და მისი გამოვლენის ზომები. თავისი მიდგომით იგი მეტწილად პრევენციულია, უპირველე ყოვლისა იმის უზრუნველყოფით, რომ სტუდენტი სრულად გაცნობიერებულია იმის თაობაზე თუ რას წარმოადგენს პლაგიარიზმი მითი აკადემიური აქტივობის კონტექსტში. ეს მიიღწევა "აკადემიური წერის" კურსის ჩართვით საბაკალავრო

პროგრამებში, რაც ხაზს უსვამს პრაგიარიზმის თავიდან აცილებას და ცუდ აკადემიურ პრაქტიკას. შემდეგ, მასწავლებელთა სიფხიზლით მათი მიერ ინდივიდუალურ სტუდენტთა წერითი ნამუშევრების ზედამხედველობისას ადრეულ (პროექტის) ეტაპზე. სტუდენტებს, ასევე, მოეთხოვებათ ხელმოწერილი პლაგიარიზმის ფორმის წარდგენა თავიანთი სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად წარდგენისას. უნივერსიტეტის რეგულაციები ითვალისწინებს შესაბამის მექანიზმებს პლაგიარიზმის იდენტიფიცირებული შემთხვევების საპასუხოდ. პერსონალთან შეხვედრების შედეგად ჯგუფმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტს ამჟამად არა აქვს ფინანსური რესურსები პლაგიარიზმის დამდგენი პროგრამის შესაძენად. მიუხედავად ამისა, ჯგუფს ეცნობა, რომ ამ მიზნისათვის უნივერსიტეტმა მიმართა გარე ფინანსირების თხოვნით, თუმცა ადგილზე ვიზიტის დროს ეს საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელი იყო. უნივერსიტეტის რეგულირებები პლაგიარიზმის საკითხებზე ამჟამად განაწილებულია რიგ ინსტიტუციურ დებულებებში, კოდექსებსა და განაცხადებში. მართალია, ეს ახდენს პლაგიარიზმის პრევენციის, გამოვლენის და დასჯის ყოვლისმომცველიო სახელმძღვანელო მითითებების კომპლექტის ფორმირებას, ჯგუფი მიიჩნევს, რომ იქნებოდა უფრო გამოსადეგი სტუდენტებისა და პერსონალისათის, რომ ყოველივე ეს თავმოყრილიყო ერთ დოკუმენტში. თვითშეფასების ანგარიში აცხადებს, რომ უნივერსიტეტი იცავს აკადემიური თავისუფლების პროპციპებს და ეს ვალდებულება მეორდება რიგ ინსტიტუციურ დოკუმენტში, როგორებიცაა, ინსტიტუციური ეთიკის კოდექსი, წერითი ნამუშევრის სტანდარტები და სტუდენტთა თვითმმართველობის ამოცანები. ადგილზე ვიზიტის პროცესში ჯგუფს შეექმნა შეხედულება, რომ უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა საზოგადოება, კარგად იცნობს და იზიარებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს. ჯგუფის თვალსაზრისით, ეს ასპექტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▯ თვითშეფასების ანგარიში ▯ ეთიკის კოდექსი ▯ შეხვედრა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, სადისერტაციო საბჭოსთან და გამომცემლობასთან.
რეკომენდაციები: რეკომენდაციები არ არის
რჩევები: ჯგუფის რჩევაა, რომ როგორც უნივერსიტეტის სტუდენტთათვის, ისე პერსონალისათვის იქნება სასარგებლო თუ კვლევითი აქტივობის ეთიკური ასპექტების განსაზღვრის პროცესი გახდება ფორმალიზებური წერილობითი ჩანაწერის მეშვეობით, რომელიც წინასწარვე შეგნებულად შეაფასებს კვლევითი აქტივობის ეთიკურ შედეგებს და ხელმოწერილი იქნება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მიერ კვლევითი პროცესის დაწყებამდე. ეს საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს უფრო ადვილად ჩართოს კოდექსის განხილვა ოპერირებაში.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება**:** ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების დიზაინი და შემუშავება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
უნივერსიტეტს შემუშავებული და დანერგილი აქვს სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და განვითარების წესებისა და რეგულაციების კომპლექტი. ეს ძირითადად გადმოცემულია უნივერსიტეტის დოკუმენტში "საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების ინსტრუქცია და პროცედურები". მას, ასევე, შემუშავებული და დანერგილი აქვს სასწავლო პროგრამების გაუქმების რეგულაციები - "საგანმანათლებლო პროგრამის შემცირების მარეგულირებელი წესი", რომელშიც სტუდენტთა კანონიერი ინტერესები და უფლებები გათვალისწინებულია და რომელიც უზრუნველყოფს სწავლის მილევადად დასრულებას ან მობილობას სხვა უსდ-ში. უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშის გაცნობიდან, ზემოაღნიშნული დოკუმენტაციიდან და შეხვედრებიდან აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან, ჯგუფს ჩამოუყალიბდა შეხედულება, რომ პროგრამის დაგეგმვისა და დიზაინის, ისევე, როგორც დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცესი შეესაბამება უმაღლეს განათლებაზე ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებსა და უსდ-ების ავტორიზაციის სტანდარტებს (უნდა აღინიშნოს, რომ ეს რეგულაციები შემოღებულია 2011 წელს, მაგრამ განახლდა 2017 წელს, ავტორიზაციის მოდერნიზებული სტანდარტების შესაბამისად). უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტისას ჩატარებული შეხვედრების საფუძველზე ჯგუფს შეუძლია დაადასტუროს, რომ პროცესები და პროცედურები, რომლების შესაბამისადაც უნივერსიტეტი ახორციელებს თავისი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვას, დიზაინსა და შემუშავებას, არის კარგად სტრუქტურირებული, გამჭვირვალე და ღია ყველა შიდა და გარე დაინტერესებული მხარისათვის. ჯგუფზე შთაბეჭდილება მოახდინა უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულმა "სწავლისადმი მოქნილმა მიდგომამ", რომელიც კონსტრუქციულად პასუხობს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და გარე დაინტერესებულ მხარეთა გამოხმაურებას. მაგალითად, სტუდენტთა გამოხმაურების საფუძველზე პრაქტიკული კომპონენტი/ინტერნატურა დაემატა, ან გაზრდილ იქნა რიგ სასწავლო პროგრამებში და პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის საათები დაემატა ან გაიზარდა ზოგიერთ კურსში. ლექტორები ხაზს უსვამენ ბიბლიოთეკის/უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მოქნილობას ახალი წიგნების შეძენის საკითხში, არა მხოლოდ ქართულ, არამედ ინგლისურ ენაზეც, რაც ხელს უწყობს სწავლებასა და სწავლას განახლებული სახელმძღვანელოების გამოყენებით. გარე დაინტერესებული მხარეებმა (მაგ. ვასო აბაშიძის მუსიკისა და დრამის თეატრის დირექტორმა, საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებმა) მოიხსენიეს მათი პოზიტიური გამოცდილება სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასებაში სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების

განხილვაში მონაწილეობისას და მათ მიერ გარე გამომცდელების როლში საკურსო ნამუშევრების (პერფორმანსები, მოკლემეტრაჟიანი ფილმები, სატელევიზიო პროგრამები) შეფასებაში. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლებთან შეხვედრებზე, ჯგუფმა მოისმინა უამრავი მაგალითი იმისა, თუ ამ შემადგენელი ჯგუფებიდან თითიეულს როგორ მიეცა წარდგენილ პროგრამაზე გამოხმაურების შესაძლებლობა შეხვედრების, გამოკითხვებისა თუ ონლაინ კონსულტაციების მეშვეობით. თავისი სასწავლო პროგრამების შემუშავების ან განახლების პროცესში უნივერსიტეტი მიზანმიმართულად განიხილავს თანამედროვე დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და იმ პროფესიონალური ლანდშაფტის სწრაფი განვითარებით წარმოქმნილ გამოწვევებს ითვალისწინებს, რომელთაც ემსახურებიან პროგრამები. კურსდამთავრებულებმა ჯგუფთან შეხვედრაზე დაადასტურეს, რომ არსებული კურიკულუმები ფეხდაფეხ მიჰყვებიან ინდუსტრიის განვითარებას, ხოლო გარე დაინტერესებულმა მხარეებმა, დამსაქმებლებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი არეგულირებს სტუდენტთა რაოდენობას შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით და ინარჩუნებს ტემპს თანამედროვე მოვლენებთან. დამსაქმებლები და გარე დაინტერესებული მხარეები, ასევე, კმაყოფილები არიან, რომ უნივერსიტეტი საშუალებას აძლევს სტუდენტებს სწავლის პროცესში ჩაერთონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და აღიარებენ რა, რომ ამ გამოცდილებიდან მიღებული ცოდნა და გამჭრიახობა მათ უკან უბრუნდებთ ეფექტურად პროფესიული პრაქტიკის სფეროში სტუდენტების მიერ სწავლის დამთავრებისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში - საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების ინსტრუქცია და პროცედურა - საგანათლებლო პროგრამის შეწყვეტის მარეგულირებელი წესი - შეხვედრა (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის) სტუდენტებთან - შეხვედრა დოქტორანტურის სტუდენტებთან - შეხვედრა კურსდამთავრებულებთან - შეხვედრა ფაკულტეტების დეკანებთან, დეპარტამენტების და პროგრამების ხელმძღვანელებთან - შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან - შეხვედრა დამსაქმებლებთან და სხვა მონაწილე მხარეებთან
რეკომენდაციები**:** რეკომენდაციები არ არის
რჩევები**:** შემდგომი განვითარებისათის რჩევები არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ "სწავლისადმი მოქნილ მიდგომას", რომელიც კონსტრუქციულად პასუხობს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და გარე დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნებს.

შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
• პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. • ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
უნივერსიტეტი ა ხ ორც ი ე ლე ბ ს 15 აკრედიტებულ სასწავლო პროგრამას უმაღლესი განათლების სამივე დონეზე. ავტორიზაციის პროცესში ჯგუფმა შეისწავლა და გააანალიზა ყველა სასწავლო პროგრამის სილაბუსების ნაწილი. ყველა მათგანი სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, ხედვასთან და განვითარების სტრატეგიასთან (სტრატეგიულ გეგმასთან). სასწავლო პროგრამები შეესაბამება შემდეგ სამართლებრივ ჩარჩოს: საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, ავტორიზაციის სტანდარტებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებას "სასწავლო პროგრამების კრედიტების გაანგარისების წესი" და N120 ბრძანებას "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დამტკიცების თაობაზე" და სხვ.
პროგრამები საშემსრულებლო ხელოვნებაში (სადოქტორო ს ა ფე ხ ური), მათი სპეციფიკური შინაარსი და სპეციალიზაციების ფართო არეალი უნიკალურია ეროვნული მასშტაბით, რაც ხდის უნივერსიტეტს სტრატეგიულად მნიშნელოვანს ეროვნულიგ უმაღლესი განათლების სისტემაში და ადებს მას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ფართო საზოგადოებისათვის მაღალი დონის სწავლებისა და სწავლის მიწოდებაზე, ისევე როგორც, სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით პრაქტიკაზე ზოგიერთ სპეციფიკურ დარგში. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს სპეციალური ეროვნული დარგობრივი მახასიათებლები უნივერსიტეტის სასწავლო დარგებისათვის, სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და აღწერილია ექვსი კრიტერიუმის შესაბამისად (ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში, დასკვნის გამოტანა, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები). ყველა სასწავლო პროგრამა ანიჭებს კვალიფიკაციას/აკადემიურ ხარისხს მინისტრის N 120/ნ ბრძანებით დამტკიცებული კვალიფიკაციების ჩამონათვალის შესაბამისად.
ვინაიდან უნივერსიტეტის კურიკულუმების უმეტესობა სთავაზობს რამდენიმე კონცენტრაციას, პროგრამებს აქვთ კომპლექსური სტრუქტურა, რომელიც შედგება სავალდებულო და არჩევითი, ისევე როგორც "ძირითადი და დამხმარე" კურსებისაგან (მოდულებისაგან) თითოეული კონცენტრაციისათის. მიუხედავად კურიკულუმის გარკვეულწილად კომპლექსური სტრუქტურისა, არსებობს მტკიცე ლოგიკური კავშირი თითოეულ განსხვავებულ სტრუქტურულ კომპონენტს შორის. თითოეული სავალდებულო თუ არჩევითი (ძირითადი ან დამხმარე) კურსის წინაპირობა მკაფიოდაა განსაზღვრული და დაშენებულია ლოგიკურად სტუდენტის მიერ წინა კურსის ბოლოსათვის მიღწეულ ცოდნასა და უნარებზე. სასწავლო პროგრამის აღმწერები ადგენენ ECTS კრედიტების რაოდენობას, მიკუთვნებულს კურიკულუმის თითოეული კომპონენტისათვის, დამყარებულს სტუდენტის დატვირთვაზე, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგს და ფორმალურ შეფასებას. ადგილზე ვიზიტისას კურიკულუმების შემოწმებისა და პერსონალთან და სტუდენტებთან დისკუსიების შედეგად, ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ უნივერსიტეტი აღწევს თეორიისა და პრაქტიკის ძალიან

წარმატებულ ბალანსსა და ინტეგრაციას მის მიერ შეთავაზებულ სტუდენტთა სწავლის გამოცდილებაში.

აკადემიური და დამხმარე პერსონალის მიერ გამოიყენება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდოლოგია, რომელთაგან თითოეული აღწერილია სილაბუსებში და პროგრამის აღმწერებში. ესენი მოიცავს: დისკუსიებს/დებატებს, ჯგუფურ მუშაობას, შემთხვევის ანალიზს, როლურ თამაშებს, დემონსტრირების მეთოდს, ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, ელე ქ ტრონ ულ სწავლას, პერფორმანსებს, სტუდიურ სწავლებასა და სწავლას და ინდივიდუალურ მუშაობას თითოეულ სტუდენტთან. ჯგუფი აფასებს პროცესს, რომლითაც შერჩეულია სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგია, რომლის მეშვეობითაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის განსხვავებული სასწავლო დარგებისა და დისციპლინების საჭიროებები. უნივერსიტეტის თითოეულ სასწავლო პროგრამაზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე პროგრამების კატალოგის ფორმით, როგორც ეს წარმოდგენილია შემდეგ ბმულებზე:

http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=drama_catalogs&parent=drama
http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=kinotele_catalogs&parent=kinotele
http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=hum_catalogs&parent=hum

უნივერსიტეტმა შეიმუშავებული და დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების მეთოდოლოგია და სთავაზობს მათ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებს. "სტუდენტთა და კურსდამტავრებულთა GPA-ს გაანგარიშების წესი" განსაზღვრავს სპეციფიკურ მითითებებს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტთა GPA-ს გაანგარიშებისათვის.

უნივერსიტეტი გეგმავს 2018-2019 აკადემიური წლიდან პროგრამებზე სწავლის დასრულებისა და გარიცხვის ტარიფების მონიტორინგის დაწყებას, თუმცა ამჟამად უნივერსიტეტი აანალიზებს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას სხვადასხვა დისციპლინებში და ნერგავს მონიტორინგის შედეგებს კურიკულუმის განვითარებაში. ფაკულტეტების დეკანებთან, დეპარტემენტებისა და პროგრამების ხელმძღვანელებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ჯგუფის ინტერვიუების მსვლელობაში, მონიტორინგის შედეგების ანალიზის შემდეგ კურსების სილაბუსებში ცვლილებების შეტანის გარკვეული მაგალითები იქნა მოყვანილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- განვითარების სტრატეგია (სტრატეგიული გეგმა)
- სასწავლო პროგრამის დესკრიპტორების/აღმწერების სპექტრი/სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებგ ვ ე რდი
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა GPA-ს გამოთვლა
- შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალთან
- შეხვედრა ფაკულტეტების დეკანებთან, დეპარტამენტების და პროგრამების ხელმძღვანელებთან
- შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან
- შეხვედრა (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის) სტუდენტებთან
- შეხვედრა დოქტორანტურის სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რეკომენდაციები არ არის

რჩევები: შემდგომი განვითარებისათის რჩევები არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტის შეფასების სისტემები შეესაბამენა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3 "სასწავლო პროგრამებისათვის კრედიტების გაანგარიშების წესსი". პროცესები და კრიტერიუმები (ქულების განაწილება, შეფასების ფორმები და კრიტერიუმები), რომელთა მიხედვითაც ხდება სტუდენტთა სამუშაოსა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება, ნათლადაა ფორმულირებული და დაწესებული თითოეული სასწავლო პროგრამისა და თითოეული სილაბუსის აღწერაში. ჯგუფის ხედვით, სტუდენტთა შეფასების სისტემა (რაც არის სტუდენტის სწალის შედეგების შეფასება) სამართლიანია, გამჭვირვალეა და იოლად ხელმისაწვდომი. შეფასების მეთოდოლოგიები ვარირებს დისციპლინიდან დიაციპლინამდე, ითვალისწინებს რა არა მარტო შემოქმედებითი ხელოვნების სპეციფიკას, არამედ, ასევე, უნივერსიტეტში არსებულ სხვა სასწავლო დარგებს. დიფერენცირებული კრიტერიუმები გამოიყენება მაგალითად: სემინარების, საკურსო ნაშრომის, პრეზენტაციების, დისკუსიის, პრაქტიკულშემოქმედებითი სამუშაოს შესაფასებლად. არსებობს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სპეციალური რეგულაცია, რომელიც იძლევა თეორიული კურსების შეფასების სისტემისა და შეფასების კრიტერიუმების ზოგად ჩარჩოს. შემოქმედებითი პროექტები, როგორებიცაა წარმოდგენები ან ფილმები, ფასდება მათი სპეციფიკურობის გათვალისწინებით და თითოეულ ფაკულტეტს აქვს თავისი საკუთარი რეგულაცია შემოქმედებითი პროექტების შესაფასებლად, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ. ჯგუფის მიერ პროგრამების აღმწერებისა და სილაბუსების ანალიზმა გამოავლინა, რომ მკაფიო კავშირებია მოსალოდნელ სწავლის შედეგებს, გამოყენებულ სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგიებსა და შეფასების მეთოდებს შორის იმისათვის, რომ შეიქმნას კონსტრუქციული განლაგება, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის ზუსტ გაზომვას. ადგილზე ვიზიტისას სტუდენტთა ჯგუფებთან შეხვედრებმა გამოავლინა, რომ ისინი კარგად არიან ინფორმირებულნი შეფასების სისტემაზე, ქულების განაწილებაზე, შეფასების მეთოდებზე და შეფასების კრიტერიუმებზე. სტუდენტებიმხარს უჭერენ შეფასების სისტემის გამჭვირვალობას, და მათი ძლიერი და სუსტი მხარეების თაობაზე გამოხმაურებას, ამბობენ, რომ სტუდენტებსა და ლექტორებს შორის არსებული ერთობლივი და მეგობრული ატმოსფერო ქმნის პოზიტიურ და პროდუქტიულ სასწავლო გარემოს. ჯგუფი აღნიშნავს, რომ არც თვითშეფასების ანგარიში და არც თანმხლები დოკუმენტები არ იძლევიან ინფორმაციას სტუდენტთათვის აპელაციის სისტემის არსებობაზე. ჯგუფის მოთხოვნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა ასლი დოკუმენტისა "საგამოცდო პროცესის და შედეგების გასაჩივრების ინსტრუქცია", რომელიც განმარტავს, რომ ინსტიტუციას აქვს ფორმალურად დამტკიცებული შეფასების აპელაციის სისტემა - სავარაუდოდ ცოტა ხნის წინ მიღებული აკადემიური საბჭოს მიერ. ადგილზე ვიზიტისას სტუდენტთა ჯგუფებთან
შეხვედრებზე, ექსპერტთა ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ სტუდენტები არ არიან საკმაოდ კარგად ინფორმირებულნი ან გაცნობიერებულნი ამ პროცესის თაობაზე. მაშინ, როცა ზოგადად, ჯგუფმა ნახა, რომ დოკუმენტაცია - დებულებები, რეგულაციები და პროცედურები არის მკაფიო და დეტალური, იგი იძლევა რეკომენდაციას, რომ უფრო მეტი ყურადღება შეიძლება მიექცეს იმას, თუ როგორ ხდება ინფორმაციის პრეზენტაცია სტუდენტებისათვის და როგორ მიუწვდებათ მასზე ხელი სტუდენტებს. ამასთან ერთად, ჯგუფი რეკომენდაციას იძლევა, რომ მოხდეს ახლადშექმნილი შეფასების გასაჩივრების სისტემის ეფექტიანობის მონიტორინგი მომავალი აკადემიური წლის ბოლოს, სტუდენტთა გამოკითხვისა და ფოკუს ჯგუფების მეშვეობით, ისევე, როგორც აპელაციის შედეგების ანალიზით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში - აკადემიურ საბჭოსთან შეხვედრის ოქმი (11.12.2017) - რექტორის ბრძანება "გამოცდის პროცესისა და შედეგების გასაჩივრების ინსტრუქცია" - შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალთან - შეხვედრა (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის) სტუდენტებთან - შეხვედრა დოქტორანტურის სტუდენტებთან
რეკომენდაციები**:** მაშინ, როცა ზოგადად, ჯგუფმა ნახა, რომ დოკუმენტაცია - დებულებები, რეგულაციები და პროცედურები არის მკაფიო და დეტალური, იგი იძლევა რეკომენდაციას, რომ უფრო კონკრეტული ყურადღება შეიძლება მიექცეს იმას, თუ როგორ ხდება ინფორმაციის პრეზენტაცია სტუდენტებისათვის და როგორ მიუწვდებათ მასზე ხელი სტუდენტებს. გარდა ამისა, ჯგუფი აძლევს რეკომენდაციას, რომ მომავალი აკადემიური წლის ბოლოს უნივერსიტეტმა განახორციელოს სტუდენტთა გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფებთან კონსულტაციებით, ახლადშექმნილი შეფასების სააპელაციო სისტემის ეფექტურობის მონიტორინგი, ისევე როგორც, აპელაციის შედეგების ანალიზი.
რჩევები**:** შემდგომი განვითარებისათის რჩევები არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ,

ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
• უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. • უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ-ს აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და შესაბამისი პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს განვითარების სტრატეგიით (სტრატეგიული გეგმით) განსაზღვრული საგანმანათლებლო პროცესისა და სხვა საქმიანობების განხორციელებას. ეს პოლიტიკა შემუშავებულია ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც განსაზღვრავს გზებს, რომლითაც უნივერსიტეტი ახდენს მისი პერსონალის მონიტორინგს, ეხმარება პროფესიულ განვითარებაში და უქმნის პერსონალს მოტივაციას ინდივიდუალური კარიერის გაუმჯობესებაში. თვითშეფასების ანგრიშის გაცნობის შედეგად ჯგუფი აღნიშნავს, რომ პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება პრიორიტეტული სფეროების შესაბამისად და საგანმანათლებლო პროგრამების სპაციფიკიდან გამომდინარე. უნივერსიტეტს აქვს პერსონალის შერჩევისადმი განსხვავებული მიდგომები, მათ შორის შიდა შერჩევა (დაწინაურება ანუ არსებული პერსონალის გადაყვანა ერთი პოზიციიდან მეორეზე), ღია და კონკურენტული კონკურსის პროცესი კომპეტენტური და გამოცდილი კანდიდატების მოსაზიდად და სტაჟირების შესაძლებლობები. დანიშვნის კრიტერიუმები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაოს აღწერილობა მკაფიოდაა განსაზღვრული და ხელმისაწვდომია ყველა კანდიდატისათვის აკადემიურ, კვლევით, ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებზე. გამოცხადებულ აკადემიურ და კვლევით პოზიციაზე კანდიდატი, შეირჩევა ღია კონკურსის პროცესში, ინიშნება უნივერსიტეტის საკონკურსო კომიტეტის, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით და შესაბამისი ადმინისტრაციული ბრძანებით. მოწვეული პერსონალი, მოწვეული სპაციალისტები და მასწავლებლები, ისევე, როგორც დამხმარე პერსონალი (მაგ. აკომპანიატორები, კონცერტმეისტერები და სხვ.) შეირჩევიან შესაბამისი პროფესიული კრიტერიუმების მიხედვით. ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური პერსონალის არსებული პროფილის შენარჩუნებას, რათა ხელი შეეწყოს მის დარგებში ტრადიციული და თანამედროვე მიდგომებისა და სასწავლო საგნების წარმატებულ ინტეგრაციას. დასაქმების პროცედურები და პროცესები მკაფიო და გამჭვირვალეა, და როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის მიღებაზე განცხადება საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სხვა შესაფერის პორტალებზე (როგორიცაა Jobs.ge). რეკრუიტირების პროცედურების გულდასმით განსაზღვრის შედეგად, აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის და მკვლევარების კვალიფიკაციები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიერ გაცხადებულ მოთხოვნებთან, რომლებიც ეხება თითოეულ პოზიციას. ნანახი დოკუმენტაციიდან ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ უნივერსიტეტს შექმნილი აქვს და ამჟამად ოპერირებს მიუკერძოებელი, ღია და გამჭვირვალე მიდგომით პერსონალის დაქირავებისადმი, რაც შესაბამისობაშია ეროვნულ რეკომენდაციებთან.

პერსონალის აფილირების წესები და ვადები დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ და აკადემიური პერსონალის პირველადი აფილირება განისაზღვრება თანამშრომელსა და უნივერსიტეტის შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

პერსონალის საქმიანობის შეფასება წარმოებს შეფასების ფორმალური პროცესებისა და პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის მეშვეობით, რაც ტარდება რეგულარულად (ჩვეულებრივად წელიწადში ერთხელ). ამ შეფასების მეთოდის შედეგები გამოიყენება პერსონალის მენეჯმენტის პროცესში იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი ცოდნა და უნარები სრულად გამოიყენება და უმჯობესდება. შესრულების შეფასების შედეგები დაკავშირებულია შრომის ანაზღაურების პრინციპებთან და პერსონალის განვითარების საკითხთან. ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მიდგომას პერსონალის მუშაობასადმი "სწავლაში დახმარების" და "პრაქტიკული სასწავლო საშუალებების" კუთხით, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ შეძლონ სრული წვლილის შეტანა სტუდენტების სასწავლო გამოცდილების მხარდაჭერასა და გაუმჯობესებაში.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროფესიული განვითარების პროგრამები შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ (აკადემიური და კვლევითი პერსონალისათვის) და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სამსახურის მიერ (ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის) და პროფესიული განვითარების აქტივობის შედეგები გამოიყენება ზოგადი ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პოლიტიკის ინფორმირებისათვის. პოლიტიკა აყალიბებს ინსტიტუციური მიდგომის პრინციპებს პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვისათვის. თუმცა, ჯგუფს ჩამოუყალიბდა შეხედულება, რომ სამიზნე ნიშნულის კრიტერიუმი, რომელიც ამჟამად ეხება ორივეს, როგორც პროფესიულ, ისე კარიერულ განვითარებას, უფრო ზოგადი ხასიათისაა და ამგვარი ფორმულირებით შესაძლოა ძნელად გასაზომი ი ყ ოს . ნაკლებად გასაგებია რისი მიღწევის მოლოდინი არსებობს და დროის რა პერიოდში. ასევე, ნაკლები განსხვავებაა იმას შორის, რაც გულისხმობს პერსონალის განვითარებას და იმას, რაც უნდა იქნეს განიხილული კარიერის განვითარებად. ჯგუფის რჩევაა, რომ უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს და უზრუნველყოს პერსონალის განვითარებისა და კარიერის განვითარების აქტივობების მკაფიოდ დეფერენცირება და ასოცირებული სამიზნე ნიშნულების კრიტერიუმის ნათლად ფორმულირება, იმგვარად, რომ ისინი გახდნენ გაზომვადი, ადვილად შესაფასებელი და უფრო ნათლად გასაგები პერსონალისათის.

ჯგუფის თვალსაზრისით, ეს ასპექტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პოლიტიკა
- დამხმარე პერსონალის დანიშვნის წესი
- შრომითი კონტრაქტის ნიმუშები
- პერსონალის CV-ს ნიმუშები
- აკადემიური პოზიციის დაკავების კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები
- სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი
- შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- აფილირების წესები
- კითხვარის შაბლონები (თანამშრომელთა შეფასების ჩათვლით)
- რექტორის ბრძანებები კონკურსის გამოცხადების თაობაზე, მისი შედეგები და დანიშვნები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პოზიციებზე 2011-2017 წლებში.

რეკომენდაციები: რეკომენდაციები არ არის

რჩევები: ჯგუფი ურჩევს, რომ უნივერსიტეტმა ყურადღება მიაქციოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ასპექტებს, რომლებიც ეხება პერსონალის განვითარებისა და კარიერული წინსვლის აქტივობებს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს უფრო მკაფიოდ იყოს დიფერენცირებული, ხოლო ასოცირებული მახასიათებლების კრიტერიუმები - ნათლად ჩამოყალიბებული, იმგვარად, რომ გახდეს გაზომვადი, ადვილად შესაფასებელი და გასაგები პერსონალისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური პერსონალის არსებული პროფილის შენარჩუნებას, რათა ხელი შეეწყოს მის დარგებში ტრადიციული და თანამედროვე მიდგომებისა და სასწავლო საგნების წარმატებულ ინტეგრაციას. ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის მიდგომას პერსონალის მუშაობასადმი "სწავლაში დახმარების" და "პრაქტიკული სასწავლო საშუალებების" კუთხით, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ შეძლონ სრული წვლილის შეტანა სტუდენტების სასწავლო გამოცდილების მხარდაჭერასა და გაუმჯობესებაში.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ადგილზე ვიზიტისას არსებული დოკუმენტაციის გაცნობისა და პერსონალის გარკვეულ ჯგუფებთან შეხვედრის საფუძველზე, საექსპერტო ჯგუფს ჩამოუყალიბდა შეხედულება, რომ აკადემიური/ სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვები ადეკვატურია საგანმანათლებლო პროგრამის, სამეცნიერო-კვლევების, შემოქმედებითი აქტივობების და სხვა დავალებული ფუნქციების განსახორციელებლად. "სწავლების, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შეფასების წესი" (დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ) აყალიბებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის განსაზღვრის პრინციპებს. დატვირთვები მოიცავს პერსონალის ფუნქციებისა და მოვალეობების შესაბამის ყველა აქტივობას, რომელიც განსაზღვრულია მათი კონტრაქტების სპეციფიკური ხასიათით. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა და მათი შეთანხმებული დატვირთვები უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებულ ფუნქციონირებას, კვლევასა და შემოქმედებით აქტივობებს. ინდივიდუალური პერსონალის დატვირთვის სქემის განახლება ხდება აკადემიური წლის ყოველ სემესტრში. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა მოდულირდება უნივერსიტეტის მიერ წლიდან წლამდე, სხვადასხვა პროგრამებზე არსებული და დაგეგმილი სტუდენტთა რაოდენობის, შრომითი ბაზრის მოთხოვნებისა და თითოეული პროგრამის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. ეს, თავის მხრივ, ეხმარება უნივერსიტეტს მომდევნო აკადემიური წლისათვის სტუდენტთა მიღების კვოტის დაგეგმვაში.
ზემოაღნიშნული "სწავლების, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შეფასების წესი" ქმნის უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი აქტივობების შეფასების პროცედურების საფუძველს; მისი ძირითადი მიზანია სწავლების, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ხარისხის გაუმჯობესება და მისი საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი წარმატებული ფუნქციონირება. შეფასების პროცესები და ასოცირებული მახასიათებლების კრიტერიუმები განსაზღვრულია და იმართება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, შესაბამისი ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამებზე პასუხისმგებელი დეპარტამენტის და სხვა რელევანტური სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით და მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ. სწავლების, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შეფასება ემყარება თვითშეფასების ანგარიშებს, აქტივობების განხორციელების შედეგად მოპოვებულ სტატისტიკურ მონაცემებს, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებებს, სადისერტაციო საბჭოს დოკუმენტაციას (მათ შორის, დისერტაციების ანგარიშებს, მიმოხილვებს, ექსპერტთა დასკვნებს, სამხატვრო საბჭოების ანგარიშებს და ა.შ.). შეფასების მონაცემების ყოველწლიური ანალიზის შედეგად, სწავლების, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების შესახებ რეკომენდაციებს შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად. ჯგუფის თვალსაზრისით, ეს ასპექტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა - შეხვედრა უფროს აკადემიურ მენეჯმენტთან - შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან - შეხვედრა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან - სწავლების, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი
რეკომენდაციები: რეკომენდაციები არ არის
რჩევები: შემდგომი განვითარებისათის რჩევები არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების და შეცვლის, განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
• უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. • უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციების კომპლექტი - სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერების და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების და საგანმანათლებლო დოკუმენტების გაცემის წესები, რომლებიც არეგულირებენ სასწავლო პროცესს თითოეულ საგანმანათლებლო დონეზე. ჯგუფის შეხედულებით, ეს რეგულაციები გამჭვირვალე და სამართლიანია, ასევე, შეესაბამება არსებულ ეროვნულ კანონმდებლობას. ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია საჯაროა და ადვილად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეებისათვის. ვებგ ვ ე რდი ს განლაგება ძალიან მკაფიოა და მომხმარებლის ინტერფეისი საშუალებას იძლევა მოპოვებულ იქნეს ყველა საჭირო ინფორმაცია სხვადასხვა თემებზე ყოველგვარი სირთულის გარეშე. იგივე წესი, ასევე, აყალიბებს სტუდენტის სტატუსს, უფლებებსა და ვალდებულებებს, უნივერსიტეტის ოფიციალური დოკუმენტაციით უზრუნველყოფს სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. ადგილზე ვიზიტისას სტუდენტებთან შეხვედრაზე, ჯგუფმა მოისმინა იმის მაგალითები, თუ როგორ რეაგირებს ინსტიტუცია შიდა რეგულაციების ფარგლებში სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროების არსებობის შემთხვევებში. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებთან შეხვედრებზე, ჯგუფი დაინტერესდა სტუდენტთა ცნობიერების დონით საკუთარი უფლებების თაობაზე, და იმით თუ იცოდნენ სად უნდა მოეძიათ მათ ინფორმაცია ამ საკითხზე. სტუდენტების მყისიერი რეაგირება ასეთ შემთხვევაში მათი რეაგირების შესახებ იყო არაფორმალური წყაროების ციტირება. ამგვარი მიდგომის მიზეზად ისინი ასახელებენ პერსონალთან კარგ ურთიერთობებს. თუმცა, სტუდენტები არ აღმოჩდნენ გათვითცნობიერებულნი ფორმალურ პროცედურებში მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისა და ისეთ მგრძნობიარე საკითხებში, როგორიცაა მაგალითად, ოფიციალური საჩივარი პერსონალის ქცევის გამო, თითქოს პირადი კომუნიკაციისა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კეთილ ნებაზე დაყრდნობით. ჯგუფის თვალსაზრისით, სასურველია, რომ ყველა სტუდენტს ჰქონდეს მკაფიო წარმოდგენა მათთვის არსებული მექანიზმებისა და პროცედურების თაობაზე იმგვარად, რომ თუ საჭირო გახდება, სტუდენტმა მისდიოს ოფიციალურ პროცედურებს და არ იყოს დამოკიდებული აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალთან პირად ურთიერთობაზე. ამ კუთხით, ჯგუფის რჩევაა, რომ უნივერსიტეტმა განიხილოს მკაფიო და მეგობრული სახელმძღვანელოს შემუშავების საკითხი, რომელიც სტუდენტებს გააცნობდა მათ უფლებებს და გაუწევდა დეტალურ მეგზურობას ფორმალურ პროცედურებში, თუ მათ ექნებოდათ სურვილი ოფიციალური საჩივრით მიემართათ ინსტიტუციისათვის. ეს უზრუნველყოფდა, რომ სტუდენტებმა ნათლად იცოდნენ თუ რა ფორმალური პროცესების გავლა დასჭირდებათ იმ შემთხვევაში, როდესაც აწყდებიან პრობლემას, რომელიც იძლევა ფორმალური საჩივრის საფუძველს. ჯგუფის თვალსაზრისით, ეს ასპექტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების და საგანმანათლებლო დოკუმენტების გაცემის წესები.
- შეხვედრა (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის) სტუდენტებთან
- შეხვედრა დოქტორანტურის სტუდენტებთან
- სტუდენტური თვითმმართველობის წესდება
- სტუდენტის სახელმძღვანელო
- უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ხელშეკრულების ნიმუში

რეკომენდაციები:

რეკომენდაციები არ არის

რჩევები:

ჯგუფის რჩევაა, რომ უნივერსიტეტმა განიხილოს მკაფიო და მეგობრული გზამკვლევი სახელმძღვანელოს შემუშავების საკითხი, რომელიც სტუდენტებს გააცნობდა მათ უფლებებს და გაუწევდა დეტალურ მეგზურობას ფორმალურ პროცედურებში, თუ მათ ექნებოდათ სურვილი ოფიციალური საჩივრით მიემართათ ინსტიტუციისათვის. ეს უზრუნველყოფდა, რომ სტუდენტებმა ნათლად იცოდნენ, თუ რა ფორმალური პროცესების გავლა დასჭირდებათ იმ შემთხვევაში, როდესაც აწყდებიან პრობლემას, რომელიც იძლევა ფორმალური საჩივრის საფუძველს.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტი მიიჩნევს "ინდივიდუალური შემოქმედებითი განვითარების პროცესს" უმაღლესი სახელოვნებო განათლების ძირითად მახასიათებლად, ხედავს რა თავის მთავარ მიზანს "ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციალისა და პროფესიული უნარების განვითარებაში". თვითშეფასების ანგარიშში უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ "სწავლების პროცესში უნივერსიტეტი ბუნებრივად ფოკუსირებულია ცალკეულ ინდივიდუალურ შემოქმედებით პოტენციალზე,

შესაბამისად, სწავლების პროცესი ორიენტირებულია ამ პოტენციალის განვითარებასა და სტუდენტის შემოქმედებითი შესაძლებლობების გამომჟღავნებაზე". უნივერსიტეტში სტუდენტის სასწავლო გამოცდილების ძირითადი ასპექტი - თითოეული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და დადასტურება "ითვალისწინებს სტუდენტების სხვადასხვა მოთხოვნებს, საჭიროებებსა და აკადემიურ მზადყოფნას". თითოეული სასწავლო გეგმა იგეგმება სემესტრების მიხედვით და სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აქტიური როლი ითამაშოს დაგეგმვის ამ პროცესში.

სტუდენტები, რომელთაც შეხვდა ჯგუფი ადგილზე ვიზიტის დროს, გამოთქვამდნენ ძალიან დიდ კმაყოფილებას მათი პროგრამის მიერ შეთავაზებული სასწავლო გამოცდილებით და საუბრობდნენ პოზიტიურად "თანამშრომლობით ურთიერთობაზე" პერსონალთან და პროგრამების "უფლებისმომცემ გარემოზე". ჯგუფი აღნიშნავს, რომ თვითშეფასების ანგარიშის თანახმად უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძლიერი მხარეს წარმოადგენს "მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამების" შეთავაზება. ამის თაობაზე შეკითხვის პასუხად, პერსონალი საუბრობს მათ მზადყოფნაზე კურიკულუმში ცვლილებების შეტანისადმი, რის ერთ-ერთ მთავარ ასპექტს წარმოადგენს სასწავლო გამოცდილების თაობაზე სტუდენტის გამოხმაურებაზე მათი რეაგირება. ჯგუფთან შეხვედრაზე სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ეს "მოქნილი" მიდგომა მართლაც ძალაშია და მოიყვანეს მთელი რიგი მაგალითები იმისა, თუ როგორ იქნა მათი გამოხმაურება პოზიტიურად და კონსტრუქციულად მორგებული კურიკულუმთან მიმართებაში. როგორც ზემოთ აღინიშნა (ნაწილი 2.2: ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები), უნივერსიტეტი რეგულარულად და ინტენსიურად აწარმოებს მისი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვას პერსონალის პროფესიულ და აკადემიურ განვითარებაზე და ჯგუფი კმაყოფილი დარჩა იმით, რომ ამ პროცესების შედეგები სწორადაა წაკითხული და რეაგირებული უნივერსიტეტის მხრიდან.

უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს რიგ დამხმარე მომსახურებებს, რომელთა შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდებზე, მათ შორის სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება (რომელიც შველის სტუდენტებს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში), ნაკლებად უზრუნველყოფილი სტუდენტების დახმარება, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებზე ინფორმირება (რომლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება - საერთაშორისო მობილობის ჩართვით) და სტუდენტური ინიციატივების დახმარება, ისევე, როგორც კარიერაში დახმარების მომსახურება. თუმცა, როდესაც ჯგუფმა სთხოვა პერსონალს, რომ აღეწერათ კარიერაში დახმარების მომსახურების ფარგლები და ფუნქცია, აღმოჩნდა, რომ ეს შეეხება უფრო რიგ საინფორმაციო წყაროებზე ინფორმაციის დისტრიბუციას, რომლებზეც სტუდენტები გადამისამართდნენ, ვიდრე უშუალოდ მომსახურების მიღებას. კითხვაზე თუ რა კარიერული რჩევები აქვთ მიღებული, სტუდენტები პასუხობენ პოზიტიურად პროფესორმასწავლებლებისაგან მიღებულ ინფორმაციასა და დახმარებაზე და ასევე, კურსდამთავრებულებისაგან მიღებულ ინფორმაციაზე, რომლებსაც პერსონალი ხშირად სთხოვს მოსვლასა და სტუდენტებთან საუბარს მათი ინდივიდუალური საკარიერო გზის თაობაზე.

რიგი დამსაქმებლებისა, რომლებთანაც უნივერსიტეტს აკავშირებს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა, ასევე, აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტთა კარიერულ დახმარებაში მათთვის ჩვეულებრივი სამუშაოს, სტაჟირების შეთავაზებით - რასაც ხშირად მივყავართ დასაქმების შესაძლებლობასთან. ჯგუფმა, ასევე, აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების კოეფიციენტი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებულია ერთნაირად მაღალ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ეფექტიანად ეხმარება სტუდენტებს კარიერული განვითარების კუთხით, ჯგუფი ურჩევს უნივერსიტეტს განიხილოს ინტეგრირებული კარიერული რჩევის სისტემის შექმნა, რომელიც თავს მოუყრიდა ყველა არსებულ რესურსს ერთი ელექტრონული სისტემის ფარგლებში, რომელიც შესაძლოა გამხდარიყო iLearning სისტემის ნაწილი, რომელსაც ინსტიტუცია ახლა ქმნის.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუდენტთა და პედაგოგთა თავისუფალი მობილობის ხელშეწყობა წარმოადგენს უნივერსიტეტის მთავარ პრიორიტეტს. ეს პროცესები ერთობლივად იმართება საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო პროგრამების სამსახურისა და სწავლის პროცესის მენეჯმენტის სამსახურის მიერ. ამ ორი სამსახურის მოვალეობაა, რომ დაამყაროს

ფორმალური კავშირები საერთაშორისო პარტნიორებთან და უზრუნველყონ მობილობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელება უნივერსიტეტის სტუდენტთა და პერსონალს შორის. უნივერსიტეტს ამჟამად აქვს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები და/ან ორმხრივი ხელშეკრულებები 30-ზე მეტ საერთაშორისო ორგანიზაციასთან და უსდ-სთან. იგი არის სახელოვნებო ინსტიტუტების ევროპული ლიგის (ELIA), კინოსა და ტელევიზიის სკოლების საერთაშორისო ასოციაციის (CILECT), ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოსა (ICTM) და ახლახან შექმნილი მსოფლიო თეატრალური განათლების ალიანსის (WTEA) წევრი. უნივერსიტეტი მუშაობს ფულბრაიტისა და ერაზმუს+ პროგრამების ფარგლებში. გარდა ამისა, უნივერსიტეტი არის საერთაშორისო ფესტივალების, შემოქმედებითი პროექტების, კონფერენციებისა და კვლევითი საქმიანობის უაღრესად აქტიური მონაწილე. მთელი ეს აქტივობები სთავაზობს სტუდენტებს შესაძლებლობას, რომ მონაწილეობა მიიღონ რომელიმე სახის საერთაშორისო საქმიანობაში. ადგილზე ვიზიტისას ჯგუფის სტუდენტებთან შეხვედრებზე მათ დაადასტურეს ამ შესაძლებლობების არსებობა და იყვნენ კმაყოფილები.

უნივერსიტეტს გააჩნია სოციალურად დაუცველ სტუდენტთა დახმარების მექანიზმები, მათ შორის ფინანსური დახმარებისაც. ამგვარი სტუდენტებისათვის დახმარების გაწევისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს შესაბამის ეროვნულ აქტებს და საერთაშორისო სტანდარტებს. უნივერსიტეტი სთავაზობს სოციალურად დაუცველ სტუდენტებს რიგ ადგილებს უფასოდ (სწავლის გადასახადიდან განთავისუფლებას) და ზოგიერთს სწავლის საფასურის გადახდის გადავადებას, საფასურის თანდათანობით გადახდის უფლებით. 2017 წლის დასაწყისიდან უნივერსიტეტი ამგვარად დაეხმარა 35 სტუდენტს. უფრო მეტიც, უნივერსიტეტმა წამოიწყო სპეციალური სწავლების მეთოდოლოგიის - ინკლუზიური სწავლის პროექტი/პროგრამა, რომლის მიზანია სხვადასხვა ფიზიკური ნაკლის მქონე სტუდენტთა სწავლება. თავის თვითშეფასების ანგარიშში უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ იგი მზადაა შეიმუშაოს სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის კიდევ სხვა დახმარების მექანიზმები და აქტიურად ეძებს პარტნიორებს მთავარი საკითხების იდენტიფიკაციის მიზნით დამატებითი ზომების შესამუშავებლად და დასანერგად.

ჯგუფის თვალსაზრისით, ეს ასპექტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- განვითარების სტრატეგია (2018-2024)
- შეხვედრა (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის) სტუდენტებთან
- შეხვედრა დოქტორანტურის სტუდენტებთან
- შეხვედრა უფროს მენეჯერებთან (აკადემიურ)
- სტუდენტური თვითმმართველობის წესდება
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- სწავლის პროცესის მენეჯმენტის დეპარტამენტის დებულება
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო პროგრამების სამსახურის დებულება

რეკომენდაციები**:**

რეკომენდაციები არ არის

რჩევები: ჯგუფი ურჩევს, რომ უნივერსიტეტმა განიხილოს ინტეგრირებული კარიერული რჩევის სისტემის შექმნა, რომელიც თავს მოუყრიდა ყველა არსებულ განაწილებულ რესურსს ერთი ელექტრონული შესვლის წერტილში, რომელიც შესაძლოა გამხდარიყო iLearning სისტემის ნაწილი, რომელსაც ინსტიტუცია ახლა ქმნის.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
• უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ▯ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. • უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის მისიის განაცხადი, როგორც ეს მოტანილია მის განვითარების სტრატეგიაში, ხაზს უსვამს მის, როგორც შემოქმედებითი წინსლის, ხელოვნების მეცნიერებებში და მისი საგნობრივი სფეროების კვლევის გენერატორის მოწინავე როლს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, როგორც პრაქტიკული ექსპერიმენტის, ისე თეორიული კვლევის მიმართულების ხელშეწყობაზე შემოქმედებითი პრაქტიკისაკენ. სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების განვითარებას უნივერსიტეტში წინამძღვრობს დიმიტრი ჯანელიძის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც დაარსდა 2017 წელს. ინსტიტუტი უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულია და არაა დაკავშირებული არც ერთი ფაკულტეტის მუშაობასთან, მაგრამ დანიშნულია, რომ შეავსოს ფაკულტეტებზე წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და გააუმჯობესოს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები. ინსტიტუტს საკუთარი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დასახმარებლად აქვს გარე დაფინანსებისა და სტიპენდიების დამოუკიდებელად ძიების უფლებამოსილება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე სხვა ალტერნატიული წყაროებიდან.

აკადემიურ საბჭოსთან და ორივე ფაკულტეტის საბჭოებთან თანამშრომლობით, ინსტიტუტმა შეიმუშავა აქტივობის გეგმა, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პროექტებისათვის. ეს მოიცავს: თანამშრომლობას შესაბამის გარე სპეციალისტებთან, ისევე როგორც გამოჩენილ საერთაშორისო კოლეგებთან, თანამშრომლობას ეროვნულ და უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი კონფერენციების მასპინძლობას. უნივერსიტეტის ფარგლებში, ინსტიტუტს აქვს უფლებამოსილება, რომ ახალი სასწავლო პროგრამების შეიმუშავოს, მოამზადოს და მონაწილეობდეს განხორციელების პროცესში; ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტთა საკვალიფიკაციო ნაშრომების, ისევე, როგორც დოქტორანტთა სადისერტაციო ნაშრომების მომზადებაში მონაწილეობა; სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო სტიპენდიებში, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში. ამის საშუალებით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ახდენს თავისი საქმიანობის ინტეგრირებას უნივერსიტეტის სასწავლო საქმიანობაში.

ინსტიტუტის ზემოაღნიშნული საქმიანობის გარდა, უნივერსიტეტის სამი ფაკულტეტი, ასევე, ძალიან აქტიურია, როგორც სამეცნიერო-კვლევით, ისე მხატვრულ-შემოქმედებით საქმიანობაში. დრამისა და კინოსა და ტელევიზიის ფაკულტეტები ძირითადად ზრუნავენ მხატვრულ-შემოქმედებით

საქმიანობაზე, მაშინ როცა ხელოვნების მეცნიერების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი ფოკუსირებულია უფრო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე. თვითშეფასების ანგარიში იძლევა აქტივობების შთამბეჭდავ ნუსხას, ჩატარებულს სამივე ფაკულტეტის მიერ რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე. ჯგუფისათვის ნათელი გახდა, რომ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად მუშაობას, ასეთი აქტივობების სპექტრს და ხარისხს, შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი უნივერსიტეტის სტუდენტთა სასწავლო გამოცდილებაში. ჯგუფი მიესალმება ინსტიტუტის აკადემიური პერსონალის კვლევისა და შემოქმედებითი პრაქტიკის დარგების დაახლოებას, რასაც იგი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კურიკულუმის სპეციფიკით.

უნივერსიტეტს გააჩნია ნორმატიული დოკუმენტი - "სწავლების, შემოქმედებითი და სამეცნიეროკვლევითი აქტივობის შეფასების წესი", რომელიც არეგულირებს კვლევისა და მხატვრულშემოქმედებითი აქტივობის ხარისხს, აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებით, მათ შორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მომუშავეთა ჩათვლით. უნივერსიტეტს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული სადოქტორო ხელმძღვანელების ფუნქციები, მათ მიერ დოქტორანტის მუშაობის ზედამხედველობის კუთხით. ეს მკაფიოდაა გადმოცემული საკმაოდ დეტალურად სადისერტაციო საბჭოს დებულების ფარგლებში. ზედამხედველობის ფუნქციების განსაზღვრის გარდა, დებულება, ასევე, განსაზღვრავს ზედამხედველთა შესაძლო რაოდენობას, რაც თავის მხრივ, ეხმარება ზედამხედველთა დატვირთვის განსაზღვრაში. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, სადისერტაციო საბჭოს და გამომცემლობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, ჯგუფი დაარწმუნეს, რომ აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი პერსონალის დატვირთვა საშუალებას აძლევს მათ, რომ სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის ეფექტური ზედამხედველობა განახორციელონ.

დისერტაციის შეფასებისა და დაცვის სტანდარტები მკაფიოდაა ჩამიყალიბებული სადისერტაციო საბჭოს დებულებაში. დებულება იძლევა გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების დეტალურ ჩამონათვალს, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში ჯგუფისათვის წარდგენილი პერსონალის პირად საქმეებში გამოვლენილმა კვალიფიკაციის დონემ, პროფესიონალიზმმა და გამოცდილებამ დაარწმუნა ჯგუფი, რომ სადოქტორი ზედამხედველობის პროცესები წარიმართება მაღალკვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ.

ჯგუფის თვალსაზრისით, ეს ასპექტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლების, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი თვითშეფასების ანგარიში
- განვითარების სტრატეგია
- დიმიტრი ჯანელიძის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წესდება
- სადისერტაციო საბჭოს დებულება
- შეხვედრა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის, სადისერტაციო საბჭოს და გამომცემლობის წარმომადგენლებთან.
- შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან (მათ შორის მოწვეული პედაგოგებთან)

რეკომენდაციები**:**

რეკომენდაციები არ არის

რჩევები**:** შემდგომი განვითარებისათის რჩევები არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ჯგუფი მიესალმება ინსტიტუტის აკადემიური პერსონალის კვლევისა და შემოქმედებითი პრაქტიკის დარგების დაახლოებას, რასაც იგი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის კურიკულუმის სპეციფიკით.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
• უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. • ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. • უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ არის მნიშვნელოვანი ეროვნული ინსტიტუტი, თავისი საქმიანობის ძირითადი ვექტორით, რომ ე ლი ც ა რი ს "ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარება და კვლევა". ეს განაცხადი კიდევ უფრო კვალიფიცირდება ინსტიტუციონალური მისიის ფარგლებში, რომელიც ახასიათებს უნივერსიტეტს, როგორც "შემოქმედებითი განვითარებისა და სამეცნიერო კვლევების" ადგილს, რომელიც იძლევა მტკიცე საფუძველს ხელოვნების დარგების (თეატრის, აუდიო-ვიზუალური, ქორეოგრაფიული, მუსიკის) განვითარებისათვის ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ‘. დიმიტრი ჯანელიძის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსება (2017 წ.) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტების უზრუნველყოფის მანდატით, ამახვილებს უნივერსიტეტის ფოკუსს კვლევისა და განვითარების მიმართ უწყვეტობასა და ეფექტიანობაზე. თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, ჯგუფის თვალსაზრისით, დრამის ფაკულტეტი და კინემატოგრაფიისა და ტელევიზიის ფაკულტეტი ყოველდღიურად არიან ჩართულნი შემოქმედებითი განვითარების საქმიანობაში, რომელიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

თვითშეფასების ანგარიშში ჩამოთვლილია 2011-2017 წლებში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ფართო სპექტრი. იგი მოიცავს: პროფესორების მიწვევას საერთაშორისო კვლევების ცენტრებში სემინარებზე, მასტერკლასებსა და კონფერენციებში მონაწილეობისათვის, პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში, ფორუმებსა და ფესტივალებში ექსპერტებად, ჟიურის წევრებად და დელეგატებად, საერთაშორისო პროექტებს, მოწვეული უცხოელი პროფესორების მიერ ჩატარებულ საჯარო ლექციებს, მასტერკლასებსა და სემინარებს; ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მემორანდუმებს - საერთაშორისო ფონდებთან, უნივერსიტეტებთან და ინსტიტუტებთან, სადოქტორო პროგრამების დაკავშირებას საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან და პროფესორებთან, და საერთაშორისო სტუდენტებისა და ხელოვნების ინსტიტუტების მონაწილეობას უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ფესტივალებსა და პროექტებში. ჯგუფმა ეს საქმიანობა განიხილა, როგორც საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი კვლევის, შემოქმედებითი ხელოვნების აქტივობებში ჩართულობისა და განხორციელების საკმარისი მტკიცებულება. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში ამჟამად არ არის ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, იგი მხარს უჭერს ერთობლივ საერთაშორისო და უცხოელი პროფესორების მიერ ერთობლივ ხელმძღვანელობას.

კიდევ ერთი საშუალება, რომლითაც უნივერსიტეტს შეაქვს წვლილი ინსტიტუციის მიერ შეთავაზებულ სასწავლო გამოცდილებასა და ფართო სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი ხელოვნების საზოგადოებაში არის 2007 წელს დაარსებული მისი გამომცემლობა (კენტავრი). იგი

მჭიდროდაა დაკავშირებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესთან და ინტენსიურად თანამშრომლობს სამივე ფაკულტეტთან. გამომცემლობის ძირითადი ფუნქციაა: ხელოვნების სხვადასხვა სფეროს სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის გამოცემა ქართულად, დოქტორანტთა, კურსდამთავრებულთა და პროფესორთა კვლევითი საქმიანობის ხელშესაწყობად, ასევე, ახალგაზრდების დასახმარებლად, რომლებიც მუშაობენ კულტურის სფეროში და მონათესავე პროფესიულ პოზიციებზე. გამომცემლობა აწარმოებს და აქვეყნებს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ უნივერსიტეტში შექმნილ სპეციალურ სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურას (მონოგრაფიებს და სახელმძღვანელოებს). გარდა ამისა, გამომცემლობა აწარმოებს და აქვეყნებს უფასო გაზეთს (დურუჯი) და სამეცნიერო ჟურნალს (სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი), რომლებიც ერთად ქმნიან სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების კოლექციას და ქვეყნდება ყოველკვარტალურად - წელიწადში ოთხჯერ. წელიწადში ერთხელ, გამომცემლობა ბეჭდავს სამეცნიერო ნაშრომებs კრებულს, რომელიც შეიცავს გამართულ კონფერენციებზე გამოსვლებს. უნივერსიტეტის გამომცემლობას გამოქვეყნებული აქვს 90-ზე მეტი სახელმძღვანელო, წიგნი და უდიდეს ხელოვანთა ნამუშევრები. გამოცემები რეგულარულად ეგზავნება ბრიტანეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას, გადაეცემა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას სტიპენდიის მიზნებისთვის და პოპულარიზდება რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო წიგნების ფესტივალებზე. საანგარიშო პერიოდში გამომცემლობამ გამოაქვეყნა 327 ნამუშევარი, მათ შორის: სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების 28 კოლექცია, 56 წიგნი (მათ შორის 4 ელექტრონული წიგნი, 15 სახელმძღვანელო, 9 მეგზური, 4 მონოგრაფია და 6 კონფერენციების წლიური ანგარიშების სპეციალური კოლექცია).

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფზე შთაბეჭდილება მოახდინა გამომცემლობის მუშაობის მოცულობამ და გამოცემებმა, ის გარკვეულწილად ნაკლებად დარწმუნდა იმაში, რომ სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებისათვის გამოცემული პუბლიკაციების შინაარსი და ხარისხი შეესაბამება საერთაშორისო კვლევის სტანდარტების მოთხოვნებს, ან საკმარისადაა ფოკუსირებულია იმ საკითხებზე, რომლებიც სავარაუდოდ მოიზიდავდა საერთაშორისო კვლევითი საზოგადოების ყურადღებას. ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ თავისი მისიისა და ხედვის შესასრულებლად უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად გაზარდოს თავისი კვლევისა და საგამომცემლო საქმიანობის ხარისხი, რათა უზრუნველყოს სრული შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

ჯგუფის მიერ ნანახ მტკიცებულებათა და თვითშეფასების ანგარიშში გაკეთებულ განაცხადთა საფუძველზე, უნივერსიტეტის კვლევების დაფინანსების პროცესები და პროცედურები ხელმისაწვდომი, გამჭვირვალე და სამართლიანია, ეს დაადასტურა პერსონალმა შეხვედრაზე, რომელიც ვიზიტისას გამართა ჯგუფმა აკადემიურ პერსონალთან. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ახალი აკადემიური პერსონალის მიღების ფორმალური პროცედურები, რაც გულისხმობს ღია კონკურსს ახალი ან ვაკანტურ თანამდებობების დასაკავებლად. ამ პროცესში ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, კვლევით პოზიციებზე კონკურსს ზედამხედველობენ უნივერსიტეტის საკონკურსო კომიტეტი და აკადემიური საბჭო; შესაბამისი სფეროს გარე ექსპერტები, ასევე, მონაწილეობას იღებენ ამ პროცესში. ახალგაზრდა მკვლევარებს უნივერსიტეტი სთავაზობთ გამოცდილი სამეცნიერო-კვლევითი და მხატვრული-შემოქმედებითი პერსონალის დახმარებას და ავრცელებს ინფორმაციას სამეცნიერო საქმიანობისთვის გარე დაფინანსების შესაძლებლობებისა და კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შესახებ. უნივერსიტეტი, ასევე, სთავაზობს მკვლევარებს დახმარებას გრანტების ადმინისტრირებასა და ანგარიშების წარდგენაში. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი განსაკუთრებულ როლს თამაშობს სამეცნიერო სტიპენდიებში, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიეროკვლევითი ღონისძიებებში სტუდენტების ჩართულობის პატრონაჟში და დამატებით, სამეცნიეროკვლევითი საქმიანობისთვის დაფინანსების და/ან სტიპენდიების მოძიებაში. ჯგუფის თვალსაზრისით, ეს ასპექტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში - სწავლების, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი - დიმიტრი ჯანელიძის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წესდება - შეხვედრა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, სადისერტაციო საბჭოსთან და გამომცემლობასთან. - შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან (მათ შორის მოწვეული პედაგოგებთან)
რეკომენდაციები: ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ თავისი მისიისა და ხედვის შესასრულებლად უნივერსიტეტმა მნიშვნელოვნად გაზარდოს თავისი კვლევისა და საგამომცემლო საქმიანობის ხარისხი, რათა უზრუნველყოს სრული შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.
რჩევები: შემდგომი განვითარებისათის რჩევები არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
- უსდ-ს აქვს კვლევითი / შემოქმედებითი საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების პროდუქტიულობის და აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის ხარისხის შეფასების და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი ხელოვნების ეფექტურობისა და ხარისხის შეფასება და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებლობაა, რომელიც, თავის მხრივ, ანგარიშს აბარებს და ამზადებს რეკომენდაციებს აკადემიური საბჭოსათვის. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აგროვებს, კრებს და აანალიზებს მონაცემებს ყოველწლიურად სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ. აკადემიური საბჭოს სათათბირო ფუნქციისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შეფასების შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის. ჯგუფის თვალსაზრისით, ეს ასპექტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▯ თვითშეფასების ანგარიში ▯ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
რეკომენდაციები: რეკომენდაციები არ არის
რჩევები: შემდგომი განვითარებისათის რჩევები არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსები
• უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. • დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. • დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. • დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ინსტიტუტია ფლობს ორ დიდ შენობას ქალაქ თბილისის ცენტრში. მთავარი შენობა, რომელშიც განთავსებულია უნივერსიტეტის ძირითადი ადმინისტრაციული ერთეულები რიგ სასწავლო სიმძლავრეებთან ერთად, აშენდა მე-19 საუკუნეში და გააჩნია ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი. შენობის შიგნით ელეგანტური ჰოლი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ორი თეატრალური დარბაზიდან ერთ-ერთთან პირდაპირ წვდომას, ისე, რომ უნივერსიტეტში შესასვლელი თავად ქმნის თეატრალურ ატმოსფეროს. შენობაში განთავსებულია ორი თეატრიაუდიტორია, ერთი 170 ადგილზე, ხოლო მეორე - უფრო დიდი - 300 ადგილზე. ორივე თეატრი ძალიან კარგ მდგომარეობაშია და სრულადაა აღჭურვილი მოთხოვნების უმაღლესი დონის შესაბამისად. მთელი შენობის შესაფერისი განახლება დასრულდა ახლახან და შესრულებულია მაღალ დონეზე. შენობაში განთავსებული საკლასო ოთახები, სასწავლო სტუდიები და სარეპეტიციო ფართები ქმნიან სწავლებისა და სწავლისათვის და შესაბამისი პრაქტიკული სესიებისათვის მნიშვნელოვან და კომფორტულ სივრცეებს. ასევე, არსებობს სასაწყობე ფართები რეკვიზიტის, კოსტიუმებისა და დეკორაციებისათვის. ადმინისტრაციული ოფისები ფუნქციურადაა გამოყოფილი. სრულად

განახლებული სანიტარულ-ჰიგიენური კვანძები ახალია და სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ტექნიკურ და სწავლების დამხმარე პერსონალთან შეხვედრის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, თუ როგორ ხდება დამხმარე რესურსების (როგორიცაა სასწავლო სტუდია) მენეჯმენტი და კურიკულუმში მათი სრული ინტეგრირება. ჯგუფზე შთაბეჭდილება მოახდინა ამ რესურსების როგორც ხარისხმა, ისე პრაქტიკულობამ და ასევე ყოველწლიურმა გულმოდგინე დაგეგმვამ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა სტუდენტის საჭიროებები სრულად იქნეს დაკმაყოფილებული რესურსებით და შესაბამისი ინსტრუქტაჟითა და საჭირო ტექნიკური დახმარებით. ჯგუფი აქებს ინსტიტუციას სპეციალისტთა სასწავლო რესურსების (როგორიცაა სასწავლო სტუდია), როგორც სტუდენტის სწავლისათვის გადამწყვეტი ასპექტის, გულმოდგინედ ინტეგრირებისათვის კურიკულუმის აქტივობაში. ჯგუფი აქებს ინსტიტუციას იმ ფიზიკური რესურსების მაღალი ხარისხისა და პრაქტიკულობისათვის, რომლითაც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებს და რომელიც განიხილება წამყვანი ევროპული უნივერსიტეტების სადარად.

მეორე შენობაც, ასევე, მაღალი სტანდარტითაა გაწყობილი და მასპინძლობს რიგი კინო და სატელევიზიო პროდუქციის სიმძლავრეებს, მათ შორის, კინოსტუდიებს, ხმის სტუდიებს და სამონტაჟოებს. ეს სიმძლავრეები, ასევე, აღჭურვილია მაღალი სტანდარტით და პასუხობს სტუდენტთა საჭიროებებს. ჯგუფის მიერ ნანახი ყველა აუცილებელი დოკუმენტი სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ კანონმდებლობასთან. ძირითადი შენობის ისტორიული სტატუსის გამო, სარემონტო სამუშაოები განხორციელდა რამდენიმე სამთავრობო უწყების კონტროლის ქვეშ. ძეგლთა დაცვის სააგენტო პასუხისმგებელი იყო ნახაზებსა და რეკონსტრუქციის პროცესზე, რაც უზრუნველყოფდა იმას, რომ აუცილებელი ნახაზები და სერთიფიკატი შესრულდა კომპეტენციის მაღალ დონეზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა წარმოუდგინა ჯგუფს ყველა აუცილებელი ფინანსური დოკუმენტი შენობის მოვლა-პატრონობის თაობაზე. ეს დოკუმენტები მკაცრად კონტროლდება სხვადასხვა სამთავრობო უწყებების მიერ. ჯგუფის თვალსაზრისით უნივერსიტეტის სიმძლავრეები იძლევა მისიის განაცხადში დაცული მიზნების მიღწევის საშუალებას და ადექვატურზე მეტად პასუხობს მისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს, სტუდენტების არსებულ რაოდენობას და სამომავლო მიღებას. ანალოგიურად, ჯგუფი კმაყოფილია, რომ სანიტარული ობიექტების სტანდარტები, ბუნებრივი სინათლის ხელმისაწვდომობა და ცენტრალური გათბობის სისტემა ხელს უწყობს დაწესებულებას მუშაობაში.

შენობაა გააჩნია უწყვეტი ელექტრომიწოდება, წყალმომარაგება და ცენტრალიზებული სავენტილაციო და ჰაერის გათბობა-კონდიცირების სისტემა. ორივე შენობა აქვს რამდენიმე საგანგებო გამოსასვლელი, ხელოვნური განათებითა და ყველა აუცილებელი საგანგებო ნიშნით. ევაკუაციის გეგმები თვალნათლივაა გამოფენილი შენობის ყველა სართულზე და ასახავს საგანგებო შემთხვევაში შენობიდან გამოსვლის ზუსტ დიაგრამას. სამედიცინო კაბინეტი, ასევე, რეგულარულად მარაგდება და აქვს ყველა საჭირო მედიკამენტი, მასალა და აღჭურვილობა პირველი დახმარების აღმოსაჩენად. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა სრულად კომპიუტერიზებული და კონტროლირდება 24 საათის განმავლობაში სახანძრო დაცვის დეპარტამენტის მიერ. უნივერსიტეტის მიერ დაქირავებული დაცვის პერსონალი მაღალკვალიფიციურია და მიუხედავად იმისა, რომ კამპუსის დიდი ნაწილი მოცულია უსაფრთხოების ვიდეო-ჩამწერებით, ეს ამჟამად განვითარების პროცესშია (გამომდინარე ძირითადი შენობის მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციიდან). ამჟამად, კამპუსის ყველა არე არ ჩანს უსაფრთხოების კამერებიდან, ეს არის მიმდინარე პროცესი, რომელიც უახლოეს მომავალში დასრულდება. ექსპერთა ჯგუფი თანხმდება, რომ დაწესებულებაში დაცულია სტუდენტებისა და თანამშრომლების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება.

თუმცა, პრაქტიკული ტრენინგის ხასიათის გამო, რომელიც წარმოადგენს ინსტიტუციის სასწავლო პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს, ჯგუფმა, ასევე, ყურადღება გაამახვილა ჯანმრთელობისა და

უსაფრთხოების საკითხებზე, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებულია სტუდენტის სასწავლო გამოცდილებასთან და უფრო ფართოდ - პროფესიულ გარემოსთან, რომელშიც სტუდენტები აღმოჩნდებიან სწავლის დასრულების შემდეგ. ტექნიკურ და სწავლის მხარდაჭერის პერსონალთან შეხვედრაზე ჯგუფს ჩამოუყალიბდა მოსაზრება, რომ ამჟამად არსებული კურიკულუმის ფარგლებში შეიძლება არასაკმარისი ყურადღება ექცეოდეს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებს. აგრეთვე, სტუდენტთა ინფორმირების საკითხს უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკის შესახებ მათი

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში ან მომავალი პროფესიული დასაქმების სფეროს გათვალისწინებით. ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს ამ საკითხზე. მიუხედავად აღიარებისა, რომ უნივერსიტეტების ძირითადი შენობა მნიშვნელოვნად განახლდა და გაუმჯობესდა, მათ შორის გაკეთდა სრულად შესაბამისი სანიტარულ კვანძები, ჯერ კიდევ არსებობს შენობის ზოგიერთი ასპექტი, რომლებიც ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით პრობლემურია, ეს ეხება სართულებს შორის გადაადგილებას და ზოგიერთი საკლასო ოთახის, ლაბორატორიებისა და ადმინისტრაციული ობიექტებისადმი მისადგომობას. ჯგუფი რეკომენდაციას იძლევა, რომ ეს საკითხები მოგვარდეს რაც შეიძლება სწრაფად შეზღუდული რესურსებით, რომლის ფარგლებშიც უწევს უნივერსიტეტს ოპერირება. ჯგუფის თვალსაზრისით, ეს ასპექტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში - ტურები ობიექტებზე - შეხვედრა ტექნიკურ და სწავლის დამხმარე პერსონალთან - უსაფრთხოების სამსახურის დებულება - კულტურული მემკვიდრეობის სერტიფიკატი - სახანძრო უსაფრთხოების სერტიფიკატი - საჯარო რეესტრიდან ამონაწერი - მთავრობის დადგენილება შენობის გარემონტებაზე - არქიტექტურული გეგმები და ნახაზები
რეკომენდაციები**:** ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ყველა მის პროგრამაში (საჭიროების შემთხვევაში) ფორმალური კომპონენტის არსებობა, რომელიც სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას მათი პროგრამის გარკვეულ ეტაპზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციფიკური საკითხების თაობაზე, ასევე, უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკას შესახებ მათი პროგრამების პრაქტიკული კომპონენტების ფარგლებში და (საჭიროების შემთხვევაში) პროფესიული დასაქმების არჩეული სფეროების გათვალისწინებით. ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ უნივერსიტეტი შეეცადოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის კამპუსის ხელმისაწვდომობის განსაკუთრებული საკითხების მოგვარებას; იმის უზრუნველყოფას, რომ ყველა ადგილი, რომელთანაც სტუდენტებს ესაჭიროებათ მისვლა, სათანადოდ შეიცვალოს. ჯგუფს მიაჩნია, რომ ეს საკითხები უნდა მოგვარდეს რაც შეიძლება სწრაფად, თუმცა აქვე აღიარებს შეზღუდულობას რესურსებში, რომლის ფარგლებშიც უწევს უნივერსიტეტს ოპერირება.
რჩევები**:** შემდგომი განვითარებისათის რჩევები არ არის

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ჯგუფი აქებს ინსტიტუციას იმ ფიზიკური რესურსების მაღალი ხარისხისა და პრაქტიკულობისათვის, რომლითაც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებს და რომელიც განიხილება წამყვანი ევროპული კონსერვატორიების სადარად.

ჯგუფი აქებს ინსტიტუციას სპეციალისტთა სასწავლო რესურსების (როგორიცაა სასწავლო სტუდია), როგორც სტუდენტის სწავლისათვის გადამწყვეტი ასპექტის, გულმოდგინედ ინტეგრირებისათვის კურიკულუმის აქტივობაში.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
☐ ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცნობარო მასალების განთავსებული და ხელმისაწვდომია ორ ადგილას; სასწავლო-სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია მთავარ საუნივერსიტეტო კორპუსში და ვიდეო ცენტრი, რომელიც განთავსებულია მეორე შენობაში - სადაც კინოსა და სატელევიზიო პროგრამებია ძირითადად განთავსებული. უნივერსიტეტის ძირითადი ბიბლიოთეკაა სასწავლო-სამეცნიერო ბიბლიოთეკა. იგი შეიცავს წიგნებისა და ჟურნალების ვრცელი კოლექციას და ესაძღვრება სამკითხველო/სასწავლო დარბაზს. სამკითხველო დარბაზი დიდია, ნათელი და არჭურვილია ინტერნეტთან დაკავშირებული 12 კომპიუტერით. ბიბლიოთეკის კატალოგი სრულად კომპიუტერიზებულია. ვიდეო-ცენტრის ბიბლიოთეკა შედგება საშემსრულებლო (DVD და VHS) და აუდიო-ვიზუალური ხელოვნების (კინო და სატელევიზიო) ჩანაწერების კოლექციისაგან. ეს საცნობარო მასალები ორგანიზებულია თემატიკის მიხედვით, წარმოადგენს ცნობილი მსახიობების ცხოვრებასა და შემოქმედებით ნამუშევრებს, როლებს, ფილმებს, სატელევიზიო შოუებს, სასწავლო მეთოდოლოგიურ და საილუსტრაციო მასალებს. ძირითად ბიბლიოთეკასა და აუდიოვიზუალურ ბიბლიოთეკაში დაცული მასალა შეადგენს 91,545 ერთეულს (2017 წლის მონაცემით). მათ შორის: წიგნები (74,635), სხვა ნამუშევრები, მათ შორის დიპლომები, დისერტაციები, ჟურნალები (8,616), არაწიგნადი საგნები, მიკროფილმები, DVD და VHS კასეტები და ა.შ. (4,334) და საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შესაბამისი სახელმძღვანელოები (27,936).

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება ადგენს ზოგად რეგულაციებს და მის მიზნებსა და ფუნქციებს და ა.შ. ბიბლიოთეკის რესურსები მუდმივად განახლებადია და მჭიდროდ არის დაკავშირებული თითოეული პროგრამის სასწავლო საჭიროებებთან. სტუდენტები და თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე ხელმისაწვდომობით. ბიბლიოთეკის პერსონალი სათანადოდ კვალიფიციურია და სტუდენტები, რომლებსაც სტუმრობის დროს შხვდა ჯგუფი, ერთსულოვნად აქებენ ბიბლიოთეკის პერსონალის დახმარებისა და გამოცდილებისათვის. ბიბლიოთეკა ინტეგრირებულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებში და სტუდენტებსა და პერსონალს აქვს თბილისის სხვა საჯარო და აკადემიური ბიბლიოთეკებზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის ეროვნულ ბიბლიოთეკაზე. ბიბლიოთეკა ასევე პასუხისმგებელია უცხოენოვანი სახელმძღვანელოების თარგმნაზე ქართულ ენაზე და მათ გამოცემაზე ცნობარების სახით, ბიბლიოთეკა მჭიდროდ მუშაობს აკადემიურ პერსონალთან იმას იდენტიფიცირებისათვის თუ რომელ წიგნებს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი თარგმნაში. ბიბლიოთეკა, ასევე, ორგანიზებას უწევს და ატარებს ბიბლიოთეკის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებებს, მათ შორის ბიბლიოთეკით სარგებლობაში ახალი სტუდენტების სწავლებას. ბიბლიოთეკა ასევე ატარებს საკუთარ კვლევებს ბიბლიოთეკის მიერ მოწოდებული მომსახურების ხარისხით მომხმარებელთა კმაყოფილებაზე, სამკითხველო დარბაზებით სარგებლობისა და ჟურნალებისა და მონაცემთა ბაზების გამოწერათა ანალიზი გაკეთებულია

სერვისის გაფართოებასთან დაკავშირებით და წინადადებები წარდგენილია ბიბლიოთეკის ადმინისტრაციაში.

ჯგუფის თვალსაზრისით, ეს ასპექტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში - ბიბლიოთეკის დებულება - შეხვედრა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსთან - შეხვედრა (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის) სტუდენტებთან - შეხვედრა დოქტორანტურის სტუდენტებთან - შეხვედრა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, სადისერტაციო საბჭოსთან და გამომცემლობასთან.
რეკომენდაციები: რეკომენდაციები არ არის
რჩევები: შემდგომი განვითარებისათის რჩევები არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.3 საინფორმაციო რესურსები
• უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. • ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. • უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საინფორმაციო რესურსები და ინტერნეტ სერვისები უნივერსიტეტში იმართება IT და პროგრამული (კომპიუტერული უზრუნველყოფის) სამსახურის მიერ. სამსახური ექვემდებარება უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. მას ევალება უნივერსიტეტის ვებ-გვერდების, ქსელების, ინტერნეტთან კავშირის და სერვერების მოვლა-პატრონობა, ისევე როგორც, პერსონალის დახმარება IT საკითხებთან დაკავშირებით. მის მოვალეობებში შედის "უნივერსიტეტის საინფორმაციო სერვერების უწყვეტი ფუნქციონირება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ბიზნესის უწყვეტი პროცესისათვის". უნივერსიტეტმა ახლახანს შეიმუშავა საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგია, გარე IT ტექნოლოგიების კომპანიასთან ერთად. უნივერსიტეტის მასშტაბით კონსულტაციის პროცესიდან გამომდინარე, სტრატეგია შემუშავდა დისკრეტული IT სისტემების

კავშირის გაუმჯობესებისა და სტუდენტებისათვის საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესებისა და გაფართოების მიზნით, მათ შორის შემუშავდა ვირტუალური სასწავლო გარემო (VLE), დროებითი სახელწოდებით "'iLearn''. ჯგუფზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტრატეგიის მიზნებმა, რომელიც მოიცავს: სტუდენტური სწავლების პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის, საქმისწარმოებისა და დოკუმენტაციის ერთიანი ცენტრალიზებული ელექტრონული სისტემის შემუშავებას, ვირტუალური ლექციების, თეორიული კურსებისათვის კომპიუტერული გამოცდებისა და შერეული სწავლების სხვა მახასიათებლების შექმნას.

საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგიის კიდევ ერთი ასპექტია "უნივერსიტეტის ვებ-გვერდის ფუნდამენტური რეკონსტრუქცია და მუდმივი განახლება". არსებული ვებ-საიტი ყოვლისმომცველია იმ კუთხით, რომ ის საჯაროდ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მართვის სტრუქტურის, საკვანძო კომიტეტებისა და პროცესების, აგრეთვე მისი სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას. თუმცა, ჯგუფმა აღნიშნა, რომ ამჟამად ამ ინფორმაციის მხოლოდ მცირე მოცულობაა თარგმნილია ინგლისურად. ინსტიტიციის შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს, რომ ვებგვერდის სრული განახლება გაგრძელდება დაგეგმვის პერიოდის განმავლობაში. ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ უნივერსიტეტმა თავისი ვებგვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში მნიშვნელოვნად მეტი შინაარსი ჩადოს, კერძოდ მისი აკადემიური შეთავაზებების კუთხით, რათა უნივერსიტეტმა უკეთ შეძლოს საერთაშორისო სტუდენტთა მოზიდვა.

ჯგუფის თვალსაზრისით, ეს ასპექტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- შეხვედრა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსთან
- განვითარების სტრატეგია

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები**:**

ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ უნივერსიტეტმა თავისი ვებგვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში მნიშვნელოვნად მეტი შინაარსი ჩადოს, კერძოდ მისი აკადემიურ შეთავაზებების კუთხით, რათა უნივერსიტეტმა უკეთ შეძლოს საერთაშორისო სტუდენტთა მოზიდვა.

რჩევები: შემდგომი განვითარებისათის რჩევები არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება

7.4 ფინანსური რესურსები
• უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. • უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას. • უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. • უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირებაგანვითარების დაფინანსება. • უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის ძირითადი ფინანსური რესურსი გამომდინარეობს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტიდან და სტუდენტთა სწავლის საფასურიდან. უნივერსიტეტის საერთო წლიური ბიუჯეტი 2018 წლისთვის შეადგენს 4,825,000 ლარს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უნივერსიტეტის ბიუჯეტი სტაბილურია. თუმცა, უნივერსიტეტის ბიუჯეტის ერთჯერადი მნიშვნელოვანი ზრდა იყო 2016 წელს, მთავარი საუნივერსიტეტო შენობის სარემონტო სამუშაოებისათვის დამატებით გრანტის გამოყოფის გამო. წლიური ბიუჯეტის ფარგლებში, უნივერსიტეტმა შეიმუშავა სამწლიანი სამოქმედო გეგმა. უნივერსიტეტის შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ფინანსური რესურსების გარკვეულ ზრდას, რაც ეფუძნება საკუთარ შემოსავლებს სხვადასხვა წყაროებიდან. ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის ფინანსური გეგმები რეალისტური და მიღწევადია.

ფინანსური დაგეგმვის თვალსაზრისით, უნივერსიტეტს აქვს ფინანსური რეგულაციების განსაზღვრული კომპლექტი. ბიუჯეტის პროექტები მზადდება ფაკულტეტებისა და ინსტიტუციის ყველა საბიუჯეტო ერთეულის მიერ და უთანხმდება წარმომადგენლობით საბჭოს, რის შემდეგაც აგვისტოში წარედგინება კულტურისა და სპორტის სამინისტროს; დამტკიცებული ბიუჯეტი უნივერსიტეტს უბრუნდება ნოემბერში - საბიუჯეტო წლის წინა წელს - რაც საშუალებას აძლევს მოთხოვნილი ბიუჯეტის გაზრდის ან შემცირების შემთხვევაში, მოახდინოს საჭირო ცვლილებები დეტალურ ფინანსურ დაგეგმვაში. ფინანსური ანგარიშგება უნივერსიტეტში წარმოებს ყოველთვიურად და ყველა ბიუჯეტის მფლობელი ვალდებულია დაესწროს ამ შეხვედრებს, დაგეგმილ ხარჯებში რაიმე ცვლილების კომენტირებისათვის, თუ საკუთარი ბიუჯეტის პროგრესის შესახებ განახლებული ინფორმაციის მისაღებად. ფაკულტეტებისათვის ბიუჯეტის განაწილებისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს არსებულ და ცვალებად სწავლის გადასახადს და აფასებს შესაბამისად თითოეული ფაკულტეტის ბიუჯეტს. ბიუჯეტი, ასევე, ითვალისწინებს უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სასწავლო პროცესში გამოყენებული ტექნიკური აღჭურვილობის, კომპიუტერული ტექნიკის ჩათვლით, ცვეთას. ბიუჯეტი, ასევე, უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის რესურსების დაფინანსებას. ფინანსური სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ჯგუფმა შეიტყო, რომ ახალი ბიუჯეტის მფლობელებს ჩაუტარდათ ტრენინგი და ისინი, მათ მიერ ახალი პასუხისმგებლობის აღებამდე, ასევე, მოწვეულნი იყვნენ ყოველთვიური ფინანსური ანგარიშგების შეხვედრებზე.

ფინანსური სამსახური ფინანსების მართვაში იყენებს ORIS საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას (როგორც ამას მოითხოვს სამინისტრო). რეგულარული განახლებები უნივერსიტეტის ფინანსურ მდგომარეობაში მიეწოდება და განიხილება წარმომადგენლობით საბჭოს მიერ. ჯგუფმა მოითხოვა, რომ ენახა მაგალითი იმ გზისა, რომლითაც ეს ინფორმაცია მიეწოდა საბჭოს. მიუხედავად იმისა, რომ მიწოდებული ინფორმაცია იყო დეტალური და ამომწურავი, იგი წარმოდგენილი იყო პროგრამული უზრუნველყოფის მიერ წარმოებულ, სამინისტროს მიერ მოთხოვნილ ფორმატში. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი დარწმუნებული იყო, რომ ამ გზით მოწოდებული ინფორმაცია დეტალური და ზუსტი იყო, იგი ფიქრობს, რომ პრეზენტაციის ფორმატი არ იყო სათანადო იმ მკითხველისათვის, ვინც არაა ექსპერტი, მაგალითად, წარმომადგენლობითი საბჭოს თანამშრომელი და სტუდენტი წევრებისათვის. ჯგუფი ურჩევს, რომ საფინანსო სამსახურმა შეიმუშაოს ალტერნატიულ შემაჯამებელ ფორმატი, კერძოდ, წარმომადგენლობითი საბჭოსთვის საბიუჯეტო ინფორმაციის წარდგენისათვის, რაც უფრო მეტად "გასაგებს" გახდის მას არასპეციალისტი

მკითხველებისათვის. საერთო ჯამში, ჯგუფი კმაყოფილია იმით, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ანგარიშგების, ფინანსური მენეჯმენტისა და კონტროლის ეფექტური სისტემა. ჯგუფის თვალსაზრისით, ეს ასპექტი მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▯ თვითშეფასების ანგარიში ▯ შეხვედრა საფინანსო სამსახურის წარმომადგენლებთან ▯ 2016 და 2017 წლების უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემაჯამებელი ანგარიში ▯
რეკომენდაციები**:** რეკომენდაციები არ არის
რჩევები**:** ჯგუფი ურჩევს, რომ საფინანსო სამსახურმა შეიმუშაოს ალტერნატიულ შემაჯამებელ ფორმატი, კერძოდ, წარმომადგენლობითი საბჭოსთვის საბიუჯეტო ინფორმაციის წარდგენისათვის, რაც უფრო მეტად "გასაგებს" გახდის მას არასპეციალისტი მკითხველებისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართები